# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 18 აპრილი 2005 №85 (2408) ფასი 50 თეთრი


# მოდის ტალღა ახალი: ახალკაცი!

სანამ 20 მაისი არ დადგება და კანდიდატების რეგისტრაციის ვადა არ ამოიწურება, კულუარულ საუბრებს ბოლო არ ექნება— ვინ იბრძოლებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის? მერაბ ჟორდანიას დაპატიმრებისთანავე გახმაურდა ნოდარ ახალკაცის სახელი. სავარაუდოდ, სწორედ უმცროსი ახალკაცია ხელისუფლების ფავორიტი ამ პოსტზე და, აი, ახალი ამბავიც: ნოდარ ახალკაცი ხვალ ჩამოვა თბილისში და, ალბათ, მთავრობის მაღალჩინოსნებსაც შეხვდება. ასე რომ, საპრეზიდენტო ციებ-ცხელებაში ახალი ტალღა აგორდება...



# ზესტაფონმა ჩემპიონატს ფონი შეუცვალა






## ქართული კალათბურთის ავ-კარგი

გუბე მოედანზე, დანა ტრიბუნაზე და დონიანი თამაში

12



## ბრინჯაოს უქმეები

ქართველ კლასიკოსთა სამი მედალი

13



## თურქეთში ულიდერებოდ

ვის მოხვდება ქართველი ქალის მუშტი

14

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

**უმაღლესი ლიგა** მეორე ეტაპი 28 ტური

## გოგუა ნელ-ნელა უნდა შევაჩვიოთო

**საქართველოს** ნაკრების 21 წლის ნახევარმცველი გოგიტა გოგუა „ხიმკის" პრეზიდენტმა ანდრეი ჩერვიჩენკომ დიდი იმედებით მიიწვია და „გატუზოც" კი უწოდა, თუმცა ჩვენიანს აქამდე რატომღაც არ ათამაშებდნენ. გოგუას ოფიციალური ხიმკური დებიუტი მე-6 ტურშიღა შედგა, რომელშიც მოსკოველებმა შინ „სკა-ენერგია" 1:0 დაამარცხეს.

გოგუა 78-ე წუთზე შევიდა მოედანზე და „ხიმკის" მწვრთნელმა პაველ იაკოვენკომ ნამატჩევს მასზე თქვა, გოგიტა ძალიან კარგი ფეხბურთელია, უბრალოდ, მას დრო სჭირდება, რათა რუსულ ფეხბურთს შეეჩვიოს და მომდევნო მატჩებში უფრო ხშირად ვათამაშებთო.

სხვათა შორის, ძირითადში გამოჩნდა გიორგი ლომაია, რომელმაც, გოგუას მსგავსად, საწყისი ტურები გამოტოვა. იაკოვენკომ ქართველ მეკარეზეც ილაპარაკა: „ხიმკის" ორი თანაბარი დონის მეკარე ჰყავს. ჩემპიონატი ძალიან დიდხანს გრძელდება და ხან ლომაია ჩადგება კარში, ხან როჟკოვი, გააჩნია, როგორ ფორმაში იქნებიან".

**ილია ნანობაშვილი**

## ვენგლოშის საჩუქრები ქართველ მწვრთნელებს

**ფეხბურთის** სტაჟიან გულშემატკივარს კარგად ეხსომება იოზეფ ვენგლოში — ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი და შემდეგ ნაკრების მთავარი მწვრთნელი. სწორედ იგი გახლდათ ვაცლავ ჟეჟეკის თანაშემწე, როდესაც ჩეხოსლოვაკიელები 1976 წელს ევროპის ჩემპიონები გახდნენ. 68 წლის ვენგლოში ამჟამად უეფას მწვრთნელთა განათლების კომიტეტს თავკაცობს და თბილისშიც სწორედ იმიტომ ჩამოვიდა, რომ ქართველ მწვრთნელებს დიპლომები გადასცეს.

ვენგლოში გუშინ გაიოზ დარსაძესთან ერთად „თბილის" — „ზესტაფონის" მატჩს დაესწრო. დარსაძე კი, გეცოდინებათ, საქართველოში მწვრთნელთა ლიცენზირების კომიტეტის თავმჯდომარეა.

**ილია ნანობაშვილი**



დავით გამეზარდაშვილის „ტორპედო" და მიხეილ ბობოხიძის „ლოკომოტივი" უგოლოდ გაიყარნენ

# ლოკომოტივმა ქულები რიონს გაატანა

**კახა შალამბერიძე**

**ზედიზედ** ორი თამაში მთავარ კონკურენტებთან თბილისში და ორი ქულა — ქუთაისის „ტორპედომ" არც „თბილისს" დაუხარა თავი და არც „ლოკომოტივს", ორივეს თითო ქულა გამოსტაცა და მეორე ადგილიც შეინარჩუნა.

„ლოკომოტივი" — „ტორპედო" მეტწილად ყოველთვის პრინციპული და დაძაბული თამაშია, თუმცა სანახაობრივი იშვიათად თუ გამოერეოდა ხოლმე. ასე იყო გუშინაც — ბრძოლაც იყო, მომენტებიც, დაძაბულობაც, მაგრამ... არ იყო ტემპი და სისხარტე, ის, რაც იზიდავს გულშემატკივარს.

უკვე ვთქვი, „ტორპედოს" ქულა აკმაყოფილებდა და, ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში დაცვას უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა. ამით კი სტუმართა თავდამსხმელები, გიორგი მეგრელაძე და რევაზ ჯიქია „დაიჩაგრნენ", რომელთაც ბურთი იშვიათად მისდიოდათ, თუმცა კი რამდენჯერმე მაინც შეუტიეს სახიფათოდ. გვინდა გამოვარჩიოთ ჯიქიას მომენტი — ქუთაისურთა ფორვარდი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ზვიად სტურუას ვერაფერი დააკლო — მან ორიოდ მეტრიდან ურთულესი ბურთი აიღო.

დიახ, ამ მატჩის ცალკე ინტრიგა სწორედ ლოკომოტიველთა მეკარე იყო: ზვიადი ხომ აქამდე „ტორპედოში" თამაშობდა და პირველი ეტაპის საუკეთესო მეკარედაც აღიარეს. თუმცა მერე მისი და „ტორპედოს" გზები გაიყარა...

სტურუამ ტაიმის მიწურულსაც დაამტკიცა, რომ ჩინებულ ფორმაშია, ამჯერად მეგრელაძე გააწბილა.

ზემოთ ინტრიგა ვახსენეთ და იმასაც გეტყვით, რომ „ლოკომოტივი" ის გუნდია, მეორე წრეში იქამდე დაუმარცხებელ „ტორპედოს" რომ გამოსდო სარმა. სწორედ მაშინ დაკარგეს ქუთაისელებმა ლიდერობა და „დინამოს" გადასწრების შანსი მისცეს.

ნოდარ აკობიას „ლოკომოტივი" კი წლეულს ჯერაც დაუმარცხებელია. უკვე ზედიზედ 12 მატჩია, თბილისელები თავაწეული ტოვებენ მოედანს.

სტუმართა მომენტებზე ზემოთ ვთქვით და პირველ ტაიმში „ლოკომოტივიც" არ ყოფილა გულხელდაკრეფილი: ლაშა ქებაძეს მირზა მერლანმა აუღო, ირაკლი სირბილაძის თავური ალექსანდრე კოშკაძემ გამოიტანა კარის ხაზიდან, როინ ონიანმა კი ხარიხა შეაზანზარა...

მეორე ნახევარში გუნდებმა ორი რეალური მომენტი გაანიავეს. ჯერ მიხეილ ბობოხიძეს მოეცარა ხელი, როცა მეკარესთან პირისპირ გასულმა მერლანი მოატყუა და ცარიელ კარში ვერ გაიტანა, ბურთი ძელს მოარტყა. მერე კი კოშკაძეს შეეძლო გატანა, მაგრამ მცველების წინ მყოფმა რატომღაც სიჩქარე შეანელა და ფლანგზე მეგრელაძეს უპასა, შეტევამაც სიმწვავე დაკარგა...

ასე იყო თუ ისე, „ლოკომოტივიც" და „ტორპედოც" უგოლოდ დაშვრნენ, რამაც ქუთაისურები აჩვირა — „თბილისმა" ხომ „ზესტაფონთან" წააგო და რიონისპირელებმაც „თბილისი" ჩამოიტოვეს.

თბილისი. 17 აპრილი. 16 საათი. მიხეილ მესხი. 200 (ტევადობა 25 600).

### ლოკომოტივი 0:0 ტორპედო

| | |
|---|---|
| **ლოკომოტივი:** სტურუა, მახვილაძე, რ. ონიანი, გიგაური, სეთურიძე, სანიკიძე (დ. ფოფხაძე 84), ქებაძე, მანჩხავა, რამონი (კახელიშვილი 46), სირბილაძე, ბობოხიძე (ალავერდაშვილი 79) | **ტორპედო:** მერლანი, რატი ბარაბაძე, ბაქრაძე, გამეზარდაშვილი, მემარნიშვილი, რაქვიაშვილი, ბოლქვაძე, კოშკაძე, ნერგაძე, რ. ჯიქია, მეგრელაძე |
| *სათადარიგონი:* ზ. ჩალაძე, ექონია, ჩივაძე | *სათადარიგონი:* გ. გაბელია; წუწუნავა, ლ. მერებაშვილი, სოხელია, დ. ონიანი, გ. ახალაია, ჯანჯალია |
| **მწვრთნელი:** ნოდარ აკობია | **მწვრთნელი:** ოთარ გაბელია |

**გაფრთხილება:** მერლანი (66)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი)

**ინსპექტორი:** ე. სილაგავა

## თქვენი ინტერვიუ კახა კალაძესთან

**«მილანი» მილანი. იტალია**

*რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძეა. კითხვები 25 აპრილის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და კახასთან ინტერვიუ არაუგვიანეს 1 მაისამდე გამოქვეყნდება.*

*ერთი სიტყვით, იაქტიურეთ, თქვენ კახა კალაძე გპასუხობთ...*



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

თბილისი. 17 აპრილი. 16 საათი. ოლიმპი. 2 500 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 0:3 ზესტაფონი

0:1 იონანიძე (14), 0:2, 0:3 ზირაქიშვილი (44, 73)

**თბილისი:** გრიშიკაშვილი, ხიდეშელი (მინ ჩოი 46), ღოლაძე (კიმ ჰიუნგ ხუა 84), ქემოკლიძე, გ. ფოფხაძე, მიქიაშვილი, აფციაური (რევაზ ბარაბაძე 69), ფიფია, შ. ჯიქია, ს. იაშვილი, გეწაძე
*სათადარიგონი:* ჯინჭარაძე, ბოჭორიძე
**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი

**ზესტაფონი:** გ. სომხიშვილი, ძამსაშვილი, ჩიკვილაძე, შ. ღონღაძე, ს. თოდუა, გუჩუა, გ. თურმანიძე (შავგულიძე 79), განუგრავა, კ. ჩხეტიანი, იონანიძე (ნუდნი 59), ზირაქიშვილი (იმედაძე 82)
*სათადარიგონი:* ქვაჩახია, გვარუციძე, ბ. ნოზაძე, ბ. გოცირიძე
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** ფიფია (67), ნუდნი (67), გეწაძე (69), ნუდნი (69), გუჩუა (89)

**გაძევება:** ნუდნი (69)

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ა. სამხარაძე (სოხუმი); ლ. სილაგაძე (თბილისი)

**ინსპექტორი:** მ. ქელიძე

# ექსპრესი სახელად ზესტაფონი

## მალაღურაძემ მოლდოველი დაინახა

**ილია ნანობაშვილი**

**„ზესტაფონმა"** საათნახევრიანი ლექცია წაუკითხა „თბილისს" თემაზე — როგორ უნდა ითამაშო ფეხბურთი და როგორ უნდა დაიოკო ნერვები. იმერლების სამქულიანი სტუმრობა ეგებ მოსალოდნელიც იყო, მაგრამ 3:0 კაცო?!

თემურ მახარაძის გუნდმა აშკარად სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა, „თბილისმა" კი ვინძლო უცუდესი და სწორედ ეს თქვა ნამატჩევს დედაქალაქელთა თავკაცმა ლუის ცაკარიასმა.

ზესტაფონელმა ქომაგებმა „ოლიმპის" ტრიბუნების ნახევარი შეავსეს და ხმის ჩახლეჩამდეც იყიჟინეს, საამისო საბაბი კი მალევე მიეცათ. მე-14 წუთზე ზურაბ იონანიძემ 23-25 მეტრიდან საჯარიმო დაარტყა, ბურთი ცოცხალმა კედელმა „აირიკოშეტა" და სოსო გრიშიკაშვილი სახტად დატოვა — 0:1. არადა, გოლამდე უფრო „თბილისი" იჩხვლიტებოდა, თორნიკე აფციაური სტუმართა დაცვას აწიოკებდა, მაგრამ ჯერ სანდრო იაშვილმა გიორგი სომხიშვილთან პირისპირ გასვლისას ააცილა, მერე კი „ზესტაფონის" მეკარემ რევაზ გეწაძეს აუღო თითქმის აუღებელი.

ტაიმის შუაწელიდან ფეროელები მოედნის ცენტრში გაბატონდნენ. ზაზა ზირაქიშვილს რამდენჯერმე გამოუვიდა ელვა-გარღვევები, ხშირად დაცვასაც ეხმარებოდა, ხოლო იონანიძემ მარცხენა გარემარბობა იკისრა.

კიდევ ის გვეუცნაურა, რომ თემურ მახარაძემ სევასტი თოდუა მარჯვენა ფლანგზე გადაიყვანა, მარცხნივ კი დაცვა გიორგი განუგრავას ჩააბარა და მართლაც ბარაქალა ამ 17 წლის ბიჭს, რაც გუშინ მან იმუშავა და ხშირად შეტევების წამომწყებიც იყო.

ორწუთიან მონაკვეთში ჯერ ზირაქიშვილის ყუმბარა მოიგერია გრიშიკაშვილმა, მერე ზაზასავე თავურზე გაისარჯა კარგად, დამატებაზე კი იონანიძემ 5-6 მეტრიდან ლამის კახეთის გზატკეცილზე გააფრინა ბურთი.

და მაინც, ასპროცენტიანი მომენტების გაფუჭების მიუხედავად, „ზესტაფონმა" ზედ შესვენების წინ დაიმშვიდა თავი — დისკვალიფიცირებული მიხეილ მესხის ნაცვლად ძირითადში გამწესებულმა 16 წლის გიორგი ხიდეშელმა უწყინარ სიტუაციაში იონანიძეს ჩააბარა ბურთი, რომელმაც თავად ვერ გაიტანა, მაგრამ ჩასაფრებულმა ზირაქიშვილმა ცარიელ კარში შეაგდო — 0:2.

მეორე ტაიმში ცაკარიასმა მინ ჩოი შეაშველა უძლურ შუა ხაზს, რევაზ ქემოკლიძე კი დაცვაში დაწია, მაგრამ რა ხეირი... ისევ იაშვილი დატრიალდა ჯარასავით: ჯერ ეფექტური თავურით კინაღამ თავზე გადაუგდო ბურთი სომხიშვილს, მერე კი შალვა ღონღაძე მატროსოვივით გადაეფარა ბურთს და უეჭველ გოლს გადაარჩინა თავისიანები.

ეტყობა, მასპინძლებმა მიჯრით გაფუჭებული მომენტები სერგეი ნუდნის დააბრალეს... მოლდოველი ჩვეულად, ჟინიანად შემოვიდა შეცვლაზე, ბუზანკალივით ბზრიალებდა და ჯერ კინაღამ გოგი ფიფიამ სცემა (კინაღამ, მგონი, ზედმეტიცაა), ორ წუთში კი გეწაძემ გაიწია მისკენ მუშტებით და მალაღურაძის ვერდიქტი აგერ, ოქმშიც წერია: მოლდოველი მეორეჯერაც გააფრთხილა და, შესაბამისად, მოედნიდან დაითხოვა, ფიფიას და გეწაძეს კი ყვითლები აჩვენა. რაც ქართველი გააძევე, აგერ, მოლდოველი დაბალი ლიმიტი — ასე გამოუვიდა მალაღურაძეს.

...მაგრამ „ზესტაფონი" ათი კი არა, რვა კაცითაც რომ დარჩენილიყო, წარბს არ შეიხრიდა, ნუდნის გაძევებიდან ოთხ წუთში მოულოდნელმა ზირაქიშვილმა გიორგი თურმანიძის პასი შეირგო და ახლო მანძილიდან მესამედ დახვრიტა ილაჯწართმეული მასპინძლები.

ცაკარიასმა ახალი კორეელი, ნახევარმცველი კიმ ჰიუნგ ხუა ჩარიცხა თამაშში, მაგრამ აზიელმა დებიუტანტმა კაპიკის საქმეც ვერ გააკეთა. „ზესტაფონმა" სათამაშო დისციპლინით, გამართული თამაშით და ერთშეხებიანი კომბინაციებით როგორც დაიწყო, ისე დაასრულა მატჩი.

მაისის დასაწყისში კი ეს გუნდები თასის ნახევარფინალში ფეროს ქალაქში შეხვდებიან ერთმანეთს და ფავორიტი ვინ არის, მგონი, პასუხი გუშინ გაეცა.



მერაბ მალაღურაძემ სიმკაცრე სერგეი ნუდნის (№11) დაატეხა



ზაზა ზირაქიშვილმა (№7) თბილისელებს ორჯერ გაუტანა

# ბათუმის პირველი ბოლოსთან

ბათუმი. 17 აპრილი. 16 საათი. დინამო. 400 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 3:0 დილა

1:0 მეტრეველი (6), 2:0, 3:0 დარჩიძე (16, 36)

**ბათუმი:** თოთლაძე, ბეგლარ თედორაძე, გალოგრე, გოგიშვილი, ბესო თედორაძე (ლ. ხმალაძე 46), გ. მანწკავა, ცანავა, ღლონტი, დარჩიძე, ხომერიკი (პ. ჩოხელი 58), მეტრეველი (ფირცხალაიშვილი 46)
*სათადარიგონი:* ი. ბალაძე; ი. მახარაძე, რამიშვილი, დუმბაძე
**მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე

**დილა:** თ. ილურიძე, დ. ხანიშვილი, ქარქოზაშვილი, დ. მაისურაძე, რევაზიშვილი, ლ. გოჩაშვილი, კ. ხანიშვილი, ტლაშაძე, ნადირაძე, ა. ლაბაძე, კ. მაისურაძე
*სათადარიგონი:* მგელაძე, სამადაშვილი, თომაშვილი, კობაძე
**მწვრთნელი:** რევაზ მამესწარიშვილი

**გაფრთხილება:** კ. ხანიშვილი (14), ხომერიკი (35), ქარქოზაშვილი (82)

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ი. აფციაური (დუშეთი), ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი)

**ინსპექტორი:** გ. სორდია

**გიორგი მურვანიძე** ბათუმიდან

**ფინანსური** პრობლემების გამო დაშლის საშიშროების წინაშე მდგომმა „ბათუმმა" წლეულს პირველად გაიმარჯვა.

თამაში ხუთი წუთის დაწყებული იყო, „ბათუმი" რომ დაწინაურდა — გორელებმა საჯარიმოსთან იუხეშეს, გიორგი მანწკავამ ძლიერად დაარტყა და ბურთს კონსტანტინე მეტრეველმა თავით ოდნავ ტრაექტორია შეუცვალა, მეკარე დააბნია და — 1:0.

„ბათუმი" მეტოქის ნახევარზე დასახლდა და შეტევას შეტევა მიაყოლა. „დილა" თავს იცავდა, თუმც ამირან გოგიტიძის შეგირდებს გორელთა თერთმეტკაციანი დაცვის გარღვევა არ გასჭირვებიათ. ავთანდილ ღლონტმა დაბალი გადაცემა გაუკეთა მეტოქის საჯარიმოში მყოფ ვიტალი დარჩიძეს, „ბათუმის" კაპიტანმა ბურთი იოლად დაამუშავა და მოჭრილი დარტყმით მარცხენა კუთხეში ჩასვა — 2:0.

პირველ ტაიმში ვიტალი დარჩიძემ ერთხელაც გაისროლა: 36-ე წუთზე ლევან ხომერიკის ჩაწოდებულს საგოლე თავური მიაყოლა და 3:0.

ბუნებრივია, მატჩის ბედიც აქ გადაწყდა...

მეორე ნახევარი დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა. ღუნე, უინტერესო ბურთაობა უსაშველოდ „გაიწელა" და, უკვე ვთქვით, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

*რევაზ მამესწარიშვილი:* ბათუმელებმა აშკარად გვაჯობეს. მოუმზადებლები ვართ და თან ექვსი საათი გზაში ვიყავით. ასეთი მგზავრობის შემდეგ მოედანზე გასვლა და თამაში უაზრობაა.

*ამირან გოგიტიძე:* ვულოცავ გულშემატკივრებს პირველ გამარჯვებას. შეიძლება ითქვას, თამაში პირველივე ტაიმში მოვიგეთ.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — მეორე ეტაპი — 28 ტური

ბოლნისი. 17 აპრილი. 16 საათი. თამაზ სტეფანია. 1 000 (ტევადობა 6 000)

## სიონი 0:1 დინამო

0:1 მელქაძე (37)

სიონი: ბობლიაშვილი, სიდამონიძე, ვაშაკიძე, ოქრობირიძე, სვანიძე (ჩაჩუა 46), ნადირაშვილი (ისიანი 75), ქოქიაშვილი, გ. დოლიძე, ავალიანი, დათუაძე (ბაქელიძე 12), რუსია
სათადარიგონი: ალხანაძე; შელია, ალავიძე, ჩხაიძე
მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

დინამო: ზოიძე, ორბელაძე, კაშია, ოდიკაძე, ქიქვეიშვილი, ლნოზაძე, კანდელაკი, სილაგაძე, ბაბუნაშვილი (გ. ჭელიძე 62), მელქაძე (ლ. ჭელიძე 74), დვალიშვილი (კაკალაძე 86)
სათადარიგონი: კუნეგატო; გ. მახარაძე, დვალი, ნავალოვსკი
მწვრთნელი: კახა ცხადაძე

გაფრთხილება: ორბელაძე (32), ქიქვეიშვილი (51), სილაგაძე (56), ნადირაშვილი (73)

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე, მ. ელიკაშვილი; ა. შილაკაძე (სამივე თბილისი)

ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი; დელეგატი: ს. კოტრიკაძე

# ბოლნისში მცხეთა იკითხეს

## სიონს კოლხეთმა უშველა

კობა ინასარიძე ბოლნისიდან

— წლეულს ჩვენი ერთადერთი საზრუნავი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. მართალია, დღეს წავაგეთ, მაგრამ წააგო ფოთის „კოლხეთმაც“ და სხვაობა ძველებურად ერთი ქულა დარჩა — „სიონის“ მწვრთნელმა მერაბ კოჭლაშვილმა ეს სიტყვები მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა, თუმც გუშინ „თამაზ სტეფანიაზე“ შეკრებილნიც „დინამოსთან“ მატჩის დაწყებიდან ბოლო წუთამდე „ვიტ ჯორჯია“ — „კოლხეთის“ შეხვედრის ანგარიშს კითხულობდნენ.

„სიონისთვის“ „დინამოსთან“ მატჩი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც მცხეთაში „კოლხეთის“ შედეგი. „ვიტ ჯორჯიას“ კი ფოთელებთან საქმე პირველსავე ტაიმში მოემთავრებინა, რითაც ბოლნისში მასპინძლები დაამშვიდა და „სიონი“ — „დინამოს“ მეორე ტაიმიც შედარებით უკეთესი სანახავი გამოდგა... თუმც ერთადერთი გოლი სწორედ შესვენებამდე ვიხილეთ: შოთა ბაბუნაშვილის ჩინებულ პასს ლევან მელქაძემ ადგილი ზუსტად შეურჩია და პირველი ცდიდან ვერა, მაგრამ მეორევ დარტყმულით კი გაუტანა მინდია ბობლიაშვილს.

გოლამდე და მის შემდეგ „დინამოს“ უპირატესობა აშკარა იყო. სტუმრები უჩვეულოდ ტემპიანად თამაშობდნენ, რასაც მასპინძლები ვერ აჰყვნენ და საკუთარ საჯარიმოში შეიკეტნენ.

„დინამოს“ თავკაცმა კახა ცხადაძემ გუშინ კიდევ ერთ ფეხბურთელს შეუცვალა პოზიცია. ადრე თუ მწვრთნელმა შოთა კაშია ცენტრალურ მცველად გაამწესა და დღემდე იქ ათამაშებს, „სიონთან“ საყრდენ ნახევარმცველად მცველი ლევან სილაგაძე მოგვევლინა და დებიუტის კვალობაზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სწორედ მისი და ლაშა ნოზაძის აქტიური თამაშით კი „დინამომ“ „სიონს“ მოედნის ცენტრი დააკარგვინა და ეს უპირატესობა ანგარიშშიც ასახა. „სიონი“ შესვენებამდე სტუმრებს სულ ერთხელ დაემუქრა, მაგრამ საჯარიმოში შეჭრილ მამუკა რუსიას დარტყმული გაუცუდდა და კარს ასცდა.

უკვე ვთქვით, რომ „სიონმა“ მცხეთაში „კოლხეთის“ მატჩის შედეგი შესვენებაზევე იცოდა და „დინამოსთან“ თამაშიც მშვიდად და ლაღად განაახლა. შედეგად კი უფრო აქტიური „სიონი“ ვნახეთ. მეორე ტაიმის საწყის ხუთ წუთში ბოლნისელებმა რამდენჯერმე აანერვიულეს სტუმრები, მაგრამ კარში ვერ დაარტყეს და ეს მცირეხნიანი უპირატესობაც თვალსა და ხელს შუა გაუქრათ. „დინამო“ კი, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ფრთხილობდა. კახა ცხადაძემ თავდამსხმელი მელქაძე მცველ ლაშა ჭელიძით შეცვალა, რითაც გართულებასაც მოერიდა და თამაშიც ზედიზედ მესამე მოგებამდე მიიყვანა. ისე კი, სათქმელია, რომ ერთი თავდამსხმელით დარჩენილმა „დინამომ“ თამაში კონტრშეტევებზე გადააწყო და მასპინძელთა კართან ხიფათის ოდენობაც ერთიორად გაზარდა. გატანით კი სტუმრებმა ვეღარ გაიტანეს.

*კახა ცხადაძე:* დაძაბული და კარგი თამაში გამოვიდა. ბიჭებმა დავალება კარგად შეასრულეს. სწორედ ისე ვითამაშეთ, როგორც დაგეგმილი გვქონდა. მელქაძემ კიდევ გაიტანა, დვალიშვილმა დიდი სამუშაო შეასრულა, სილაგაძე ახალ პოზიციაზე საიმედო იყო, კარგად გამოიყურებოდა ნოზაძე, მოკლედ, გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. ეგაა, შეტევის ბოლოს სიზუსტე გვაკლია და ამ მხრივ სამუშაო გვაქვს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 28 | 18 | 4 | 6 | 59:24 | 58 |
| ტორპედო | 28 | 14 | 10 | 4 | 43:23 | 52 |
| თბილისი | 28 | 15 | 6 | 7 | 48:32 | 51 |
| ლოკომოტივი | 28 | 12 | 12 | 4 | 34:19 | 48 |
| ზესტაფონი | 28 | 13 | 4 | 11 | 30:39 | 43 |
| ვიტ ჯორჯია | 28 | 11 | 8 | 9 | 45:32 | 41 |
| ბათუმი | 28 | 8 | 10 | 10 | 31:24 | 34 |
| კოლხეთი | 28 | 7 | 5 | 16 | 25:44 | 26 |
| სიონი | 28 | 7 | 4 | 17 | 24:50 | 25 |
| დილა | 28 | 2 | 3 | 23 | 16:68 | 9 |



დავით იმედაშვილმა (№2) „კოლხეთს“ პირველ ეტაპზეც გაუტანა

# დინამო არმაზს ავტობუსით მიადგა

დავით თავართქილაძე მცხეთიდან

მცხეთა. 17 აპრილი. 16 საათი. არმაზი. 400 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 6:0 კოლხეთი

1:0 კობიაშვილი (10), 2:0 გოჩაშვილი (33), 3:0 იმედაშვილი (63), 4:0 გოჩაშვილი (69), 5:0 დათუნაიშვილი (72), 6:0 ცხომარია (76)

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, კობიაშვილი (კუსრაშვილი 73), დ. ლომაია, პ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, დიღმელაშვილი, გველესიანი (გ. კვახაძე 56), ფეიქრიშვილი, იმედაშვილი, ვ. გოჩაშვილი, მარცვალაძე (ცხომარია 67)
სათადარიგონი: ბედიაშვილი; ინწკირველი, ლ. კვარაცხელია
მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

კოლხეთი: ბათიაშვილი, დ. ნარსია, გ. კილასონია, აკობია, მელიქია (გოროზია 46), შველიძე (გოგნაძე 81), თაყაძე, კუნჭულია, ხიზანიშვილი, ტყებუჩავა (ა. ჩილვინაძე 15), ლებანიძე
სათადარიგონი: მიქავა; ყურაშვილი
მწვრთნელი: სერგო გაბელაია

გაფრთხილება: ლებანიძე (3), ჩილვინაძე (40), იმედაშვილი (59), აკობია (64), ცხომარია (70)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ურუშაძე (თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. მეშკოვი (თბილისი)

ინსპექტორი: ა. დურსუნიში

**გუშინ** ფოთელთა მთავარმა კონკურენტმა, ბოლნისის „სიონმაც“ წააგო და ზღვისპირელები მერვე ადგილზე დარჩნენ, ჯერაც აცილებულნი არიან გასავარდნ ზონას, მაგრამ საინტერესოა, დარჩენილ რვა შეხვედრაში როგორღა უნდა მოიპოვონ ქულები?!

საქართველოში ფეხბურთის სამშობლო ფოთია, რომლის გუნდი დღეს ერთ-ერთი უსუსტესია უმაღლეს ლიგაში და უფულობისგან გათანგულს ცალი ფეხი, ფაქტობრივად, პირველ ლიგაში უდგას. „სიონს“ კი მიმდინარე სეზონის მეორე ეტაპზე პატრონი გამოუჩნდა და ასეთ „კოლხეთს“ ალბათ გადაუსწრებს კიდეც. მოკლედ, თუ „კოლხეთს“ ფული არ გამოუჩნდა, მერვე ადგილზე და, მით უფრო, მის ზემოთ არავინ გააჩერებს.

გოლი პირველი: ოთარ მარცვალაძის ნაკუთხურალი ბურთი თენგიზ კობიაშვილს მიუვიდა და ახლოდან თავურით გაიტანა.

გოლი მეორე: გიორგი ფეიქრიშვილმა მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა და ფოთელ მცველთაგან უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ვლადიმერ გოჩაშვილმაც ახლო თავურით იხეირა.

გოლი მესამე: სტუმართა საჯარიმო მოედნის წიბოსთან არმისულმა დავით იმედაშვილმა ბურთს ცაციას. გარე ტერფი დააძგერა და საამო გოლიც გაუტანა ზურაბ ბათიაშვილს შორეულ კუთხეში.

გოლი მეოთხე: ლუკა რაზმაძის პასით გოჩაშვილი ბათიაშვილთან პირისპირ დარჩა, გასცდა მეკარეს და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი.

გოლი მეხუთე: გოჩაშვილმა პავლე დათუნაიშვილს უპასა, ვინც ახლოდან დალაშქრა მეტოქის კარი.

გოლი მეექვსე: გოჩაშვილის პასითვე რადიონ ცხომარიამ ბათიაშვილს აუღებელი დაურტყა.

მიუხედავად ასეთი ანგარიშისა, ორთაბრძოლებს შლეგობა არ მოჰკლებია და არბიტრ ლევან კვარაცხელიას პრინციპულობა ბოლომდე რომ გამოეჩინა, კიდევ რამდენიმე ყვითელ ბარათს და იქნებ, წითელსაც გამორჩენოდნენ ფეხბურთელები.

გაფრთხილებული იმედაშვილი კი მომდევნო მატჩს გამოტოვებს, რაც საკმაოდ დიდი დანაკლისი იქნება „ვიტ ჯორჯიისთვის“.

მომდევნო, ოცდამეცხრე ტური 2[illegible] აპრილსაა — ვიტელები სტუმრად ითამაშებენ „დინამოსთან“ და გუშინ მცხეთაში დინამოელებიც მივიდნენ — სადაზვერვო ჯგუფი კლუბის მიკროავტობუსით მიადგა „არმაზს“ და რაზმის ხელმძღვანელი „დინამო 2“-ის თავკაცი კახა კაჭარავა იყო, ვინც გულდაგულ ინიშნავდა ფურცელში რაღაცებს...

# ავი თვალის ამბები

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXXIII ტური

**ჩარლტონი 1:2 ბოლტონი**

0:1 ოკოჩა (73), 1:1 ჯეფერსი (29), 1:2 დიუფი (58)

**ჩარლტონი:** კელი, ფორჩუნი, პრეიდარსონი, კონჩესკი (კიშიშევი 79), პერი, ჰოლანდი, ჰიუზი (იუელი 78), მერფი, ჯეფერსი, რომედალი, ტომასი (იოჰანსონი 66)

მწვრთნელი: ალან კერბილში

**ბოლტონი:** იასკელაინენი, ბენ აიმი, იერო, ჰანტი, ნგოტი, კანდელა (გარდნერი 74), იანაკოპულოსი, ნოლანი, ოკოჩა (კამპო 89), სპიდი, დევის (დიუფი 55)

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

გაფრთხილება: ბენ აიმი

მსაჯი: ვაილი

26 708 მაყურებელი

**კრ. პალასი 3:3 ნორვიჩი**

1:0 კოლკა (5), 1:1, 1:2 ეშტონი (22, 45), 2:2 ჰიუზი (73), 2:3 მაკკენზი (53), 3:3 ჯონსონი (833)

**კრ. პალასი:** კირალი, ბატერფილდი (ტორგჰელი 72), გრენვილი, ჰალი, ლეირტვუდი (სუარესი 65), სორონდო, ჰიუზი, რუტლეჯი, ფრიდმანი, ჯონსონი, კოლკა (პოპოვიჩი 84)

მწვრთნელი: იან დოუვი

**ნორვიჩი:** გრინი, დრარი, ფლემინგი, შეკელი, ფრენსისი (ჰოლტი 88), ჰელვეგი, საფრი, ეშტონი, ბენტლი, ჰაკერბი (ჯონსონი 90), მაკკენზი (სვენსონი 88)

მწვრთნელი: ნაიჯელ უორზინგტონი

გაფრთხილება: გრენვილი, ჰელვეგი, შეკელი, ჰიუზი

მსაჯი: სტაილსი

25 754 მაყურებელი

**ფულემი 1:1 მანჩესტერ სიტი**

0:1 რეინა (20), 1:1 ბოა მორტე (76)

**ფულემი:** ვან დერ საარი, გომა, ნაითი, როსენიორი, ვოლცი, კლარკი, მალბრანკი (რაძინსკი 66), რემბრიჯი, ბოა მორტე, ენდი კოული (ჯონი 69), მაკბრაიდი

მწვრთნელი: კრის კოულმენი

**მანჩესტერ სიტი:** ჯეიმსი, დისტინი, დანი, ონუოა, ბარტონი, ბოსველტი, ჯორდანი, მუსამბა, რეინა, სიბირსკი, ფაულერი (რაიტ-ფილიპსი 62)

მწვრთნელი: სტიუარტ პირსი

გაფრთხილება: დანი

მსაჯი: ბერი

21 796 მაყურებელი

**ლივერპული 2:2 ტოტენჰემი**

0:1 ედმანი (12), 1:1 ლუის გარსია (44), 1:2 რობი კინი (55), 2:2 ჰიპია (63)

**ლივერპული:** დუდეკი, კარაგერი, ფინანი, ჰიპია, პელეგრინო, ალონსო (ბისკანი 84), ჯერარდი, ნუნიესი (სისე 77), უორნოკი (რიისე 35), ლუის გარსია, მორიენტესი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

**ტოტენჰემი:** რობინსონი, დოუსონი, ედმანი, კელი, კინგი, კარიკი, საიმონ დევისი, შონ დევისი, რიდი (ციგლერი 72), კანუტი, კინი (დეფო 88)

მწვრთნელი: მარტინ იოლი

მსაჯი: ჰელსი

44 029 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 2:3 ასტონ ვილა**

1:0 ფილიპსი (4), 2:0 კროუჩი (13), 2:1 ჯ. კოული (55), 2:2 სოლანო (70), 2:3 დევისი (72)

**საუთჰემპტონი:** ნიემი, ბერნარი, იაკობსონი (დევენპორტი 45), დელაპი, ქუში, რედნაპი, სვენსონი (ლე სო 63), ტელფერი (კამარა 74), კროუჩი, ფილიპსი

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

**ასტონ ვილა:** სორენსენი, ბერი, დელანი, ლაურსენი (სოლანო 45), სამუელი, სტივენ დევისი, დე ლა კრუზი, ჰენდრი, ჰიტცშპერგერი, ანჰელი (მური 77), ვესელი (კოული 36)

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

გაფრთხილება: ჯეიმი რედნაპი, ჰენდრი, ბერი

მსაჯი: დურსო

31 926 მაყურებელი

**ბირმინგემი 0:0 პორტსმუთი**

**ბირმინგემი:** ტეილორი, კლეპჰემი, კანინგემი, მელხიოტი, აპსონი, ჯონსონი, ლაზარიდისი (გრეი 59), ნაფტი (კარტერი 76), პენანტი, ჰესკი, პანდიანი (მორისონი 59)

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

**პორტსმუთი:** ეშდოუნი, ა. სისე, დე ზეუვი, გრიფინი, პრიმუსი, ჰიუზი, ონილი, სკოპელიტისი (მეზაგი 83), სტოუნი (ბერგერი 64), კამარა (ფულერი 71), ლუა ლუა

მწვრთნელი: ალენ პერენი

გაფრთხილება: სისე, კამარა, ნაფტი

მსაჯი: უოლტონი

28 883 მაყურებელი



AFP

ლივერპული — ტოტენჰემი. ლივერპულელი ფერნანდო მორიენტესი ლონდონელ მაიკლ დოუსონს დაუსხლტა

**ტურინის** „იუვენტუსის" მძლეველმა „ლივერპულმა" შინ „ტოტენჰემის" დამარცხება ვერ შეძლო. სტუმრებმა „ენფილდზე" ყოჩაღად ითამაშეს და ედმანმა ისეთი გოლი გააცუდა, ავ თვალს გაახარებდა — დაახლოებით 40 მეტრიდან ისე გაისროლა ბურთი, რომ დუდეკი ვერ მიხვდა, რა მოხდა და ანგარიში გაიხსნა. ლუის გარსიამ არანაკლებ ლამაზი გოლი მიითვალა, როგორც შევჩენკომ „ინტერთან", ისე ჩაახვია ცაციით რობინსონის კარში და გაათანაბრა. ამის შემდეგ მორენტესის თავური სასწაულებრივ მოიგერია რობინსონმა, ხოლო რობი კინმა დუდეკის დამწუხრება შეძლო 1:2. სემი ჰიპიმ კი, რომელმაც გოლებს მოუხშირა, „ლივერპულს" ქულა გადაურჩინა. აღსანიშნავია, რომ სტივენ ჯერარდმა პენალტი ვერ გაიტანა. ამ მომენტისთვის მასპინძლები 1:2-ს აგებდნენ.

„ჩარლტონმა" შინ „ბალტონთან" წააგო და უეფას თასზე გამსვლელი ადგილისთვის ბრძოლაში ჩაფლავდა. ჯეი ჯეი ოკოჩამ მეშვიდე წუთზე პენალტით სტუმრები დააწინაურა, ხოლო ფრენსის ჯეფერსმა პირველივე ტაიმში გაქვითა. შეცვლაზე შესულმა დიუფმა სამიოდ წუთში „ბოლტონის" დაწინაურება შეძლო, ხოლო ჩარლტონელებმა დაცვაში კარგად მოთამაშე სტუმრებს საჯარიმო „ამაოდ უნგრიეს".

„კრისტალ პალასისა" და „ნორვიჩის" შეხვედრა მეტად თვალსასეირო გამოვიდა. პრემიერლიგიდან გავარდნის ორი კანდიდატი ერთმანეთს შეეხალა და ბევრი გოლიც გაიტანა. მასპინძლებმა მეხუთე წუთზე კოლკას გატანილი გოლით გაიხარეს, მაგრამ მერე „ნორვიჩმა" აუყოლა და ეშტონმა დუბლი შეასრულა. ჰიუზმა მეორე ტაიმში კი გაათანაბრა, ოღონდ მაკკენზიმ კვლავ „ნორვიჩი" გაიყვანა წინ. კრისტლელმა ჯონსონმა პენალტი მოინაგრა და კარგადაც შეასრულა, მაჩანჩალებმა კი თითო ქულა გაიყვეს.

დევიდ ოლირის „ასტონ ვილამ" უცნაურად მოიგო: მიუხედავად იმისა, რომ „საუთჰემპტონი" მეცამეტე წუთზე 2:0-ს ხარობდა, ბირმინგემელმა სტუმრებმა „დაქოქეს" და მეორე ტაიმის ჩვიდმეტწუთიან მონაკვეთში სამი გოლი მიითვალეს, საბოლოოდ კი სამი ქულაც ჩაიჯიბეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ჩელსი | 32 | 25 | 6 | 1 | 62:12 | 50 | 81 | 16 | 12 | 4 | 0 | 31:5 | 26 | 40 | 16 | 13 | 2 | 1 | 31:7 | 24 | 41 |
| 2 არსენალი | 32 | 21 | 7 | 4 | 73:33 | 40 | 70 | 16 | 10 | 5 | 1 | 43:18 | 25 | 35 | 16 | 11 | 2 | 3 | 30:15 | 15 | 35 |
| 3 მანჩესტერი | 32 | 19 | 10 | 3 | 48:19 | 29 | 67 | 16 | 11 | 5 | 0 | 27:7 | 20 | 38 | 16 | 8 | 5 | 3 | 21:12 | 9 | 29 |
| 4 ევერტონი | 32* | 16 | 6 | 10 | 39:33 | 6 | 54 | 16 | 10 | 1 | 5 | 20:14 | 6 | 31 | 16 | 6 | 5 | 5 | 19:19 | 0 | 23 |
| 5 ბოლტონი | 33 | 15 | 7 | 11 | 43:37 | 6 | 52 | 16 | 8 | 4 | 4 | 21:13 | 8 | 28 | 17 | 7 | 3 | 7 | 22:24 | -2 | 24 |
| 6 ლივერპული | 33 | 15 | 6 | 12 | 46:34 | 12 | 51 | 17 | 11 | 3 | 3 | 28:13 | 15 | 36 | 16 | 4 | 3 | 9 | 18:21 | -3 | 15 |
| 7 ტოტენჰემი | 33 | 13 | 8 | 12 | 41:37 | 4 | 47 | 16 | 8 | 3 | 5 | 30:20 | 10 | 27 | 17 | 5 | 5 | 7 | 11:17 | -6 | 20 |
| 8 მიდლსბრო | 32 | 12 | 9 | 11 | 45:43 | 2 | 45 | 16 | 7 | 5 | 4 | 23:18 | 5 | 26 | 16 | 5 | 4 | 7 | 22:25 | -3 | 19 |
| 9 ასტონ ვილა | 33 | 12 | 9 | 12 | 41:42 | -1 | 45 | 16 | 8 | 4 | 4 | 24:14 | 10 | 28 | 17 | 4 | 5 | 8 | 17:28 | -11 | 17 |
| 10 ჩარლტონი | 33 | 12 | 8 | 13 | 40:50 | -10 | 44 | 17 | 8 | 3 | 6 | 27:23 | 4 | 27 | 16 | 4 | 5 | 7 | 13:27 | -14 | 17 |
| 11 სიტი | 33 | 10 | 11 | 12 | 39:37 | 2 | 41 | 16 | 6 | 5 | 5 | 18:13 | 5 | 23 | 17 | 4 | 6 | 7 | 21:24 | -3 | 18 |
| 12 ბირმინგემი | 33 | 9 | 11 | 13 | 35:39 | -4 | 38 | 17 | 6 | 6 | 5 | 20:13 | 7 | 24 | 16 | 3 | 5 | 8 | 15:26 | -11 | 14 |
| 13 ნიუკასლი | 31 | 9 | 11 | 11 | 41:49 | -8 | 38 | 16 | 7 | 4 | 5 | 24:24 | 0 | 25 | 15 | 2 | 7 | 6 | 17:25 | -8 | 13 |
| 14 ბლეკბერნი | 32 | 8 | 12 | 12 | 28:37 | -9 | 36 | 16 | 4 | 7 | 5 | 19:19 | 0 | 19 | 16 | 4 | 5 | 7 | 9:18 | -9 | 17 |
| 15 პორტსმუთი | 33 | 9 | 8 | 16 | 37:51 | -14 | 35 | 16 | 7 | 3 | 6 | 24:22 | 2 | 24 | 17 | 2 | 5 | 10 | 13:29 | -16 | 11 |
| 16 ფულემი | 32 | 9 | 7 | 16 | 38:52 | -14 | 34 | 16 | 6 | 4 | 6 | 20:23 | -3 | 22 | 16 | 3 | 3 | 10 | 18:29 | -11 | 12 |
| 17 ვესტ ბრომვიჩი | 32 | 5 | 13 | 14 | 31:52 | -21 | 28 | 16 | 4 | 7 | 5 | 14:21 | -7 | 19 | 16 | 1 | 6 | 9 | 17:31 | -14 | 9 |
| 18 საუთჰემპტონი | 33 | 5 | 12 | 16 | 36:54 | -18 | 27 | 17 | 4 | 9 | 4 | 25:25 | 0 | 21 | 16 | 1 | 3 | 12 | 11:29 | -18 | 6 |
| 19 კრ. პალასი | 33 | 6 | 9 | 18 | 36:57 | -21 | 27 | 17 | 5 | 4 | 8 | 18:17 | 1 | 19 | 16 | 1 | 5 | 10 | 18:40 | -22 | 8 |
| 20 ნორვიჩი | 33 | 4 | 12 | 17 | 35:66 | -31 | 24 | 16 | 4 | 5 | 7 | 25:31 | -6 | 17 | 17 | 0 | 7 | 10 | 10:35 | -25 | 7 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 25 |
| ენდრიუ ჯონსონი (კრ. პალასი) | 18 |
| დეფო (ტოტენჰემი) | 13 |
| ჰასელბაინკი (მიდლსბრო) | 11 |
| ენდი კოული (ფულემი) | 11 |
| აიეგბენი (პორტსმუთი) | 11 |
| პირესი (არსენალი) | 11 |

### XXXIV ტური

19-20 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| ბოლტონი | : | საუთჰემპტონი |
| მიდლსბრო | : | ფულემი |
| ნორვიჩი | : | ნიუკასლი |
| პორტსმუთი | : | ლივერპული |
| ასტონ ვილა | : | ჩარლტონი |
| ბლეკბერნი | : | კრ. პალასი |
| ჩელსი | : | არსენალი |
| ევერტონი | : | მანჩესტერი |
| სიტი | : | ბირმინგემი |
| ტოტენჰემი | : | ვესტ ბრომვიჩი |

## ჩემპიონატი

### XLIII ტური

**შეფილდი 0:1 დერბი**

0:1 ბიზგაარდი (63)

**ვესტ ჰემი 1:1 მილუოლი**

0:1 ჰეილსი (12), 1:1 ეირუდი (35)

**ბარნლი 1:1 რაიტონი**

1:0 აკინბიი (23), 1:1 ჰემონდი (52)

**ქოვენთრი 2:2 ვულვზი**

0:1 კლარკი (15), 1:1 მარტინესი (193), 1:2 ნეილორი (79), 2:2 ჯონი (90)

**ჯილინგემი 1:1 ქრიუ**

0:1 ვოგანი (73), 1:1 სუტალი (80)

**ლესტერი 0:2 უიგანი**

0:1, 0:2 ორმეროდი (25, 59)

**პრესტონი 3:0 კარდიფი**

1:0, 2:0 ნაგენტი (67, 79), 3:0 კრესველი (85)

**რედინგი 1:0 ნოტინგემი**

1:0 ჰარპერი (74)

**როტერჰემი 0:1 უოტფორდი**

0:1 ჰელგიუსონი (32)

**სტოკი 2:0 პლიმუთი**

1:0 ჯონსი (28), 2:0 რასელი (41)

**ქპრ 1:1 ლიდსი**

0:1 ჯონსონი (24), 1:1 გალენი (85)

**იფსვიჩი 2:2 სანდერლენდი**

1:0 ნეილორი (66), 1:1 ელიოტი (72), 1:2 რობინსონი (84), 2:2 ბენტი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 43 | 26 | 7 | 10 | 71:39 | 85 |
| უიგანი | 43 | 24 | 10 | 9 | 75:33 | 82 |
| იფსვიჩი | 43 | 23 | 11 | 9 | 78:53 | 80 |
| პრესტონი | 43 | 21 | 11 | 11 | 64:52 | 74 |
| დერბი | 42 | 20 | 10 | 12 | 64:52 | 70 |
| რედინგი | 43 | 19 | 13 | 11 | 49:37 | 70 |
| ვესტ ჰემი | 42 | 19 | 9 | 14 | 60:51 | 66 |
| შეფილდი | 43 | 18 | 12 | 13 | 55:51 | 66 |
| მილუოლი | 43 | 16 | 11 | 16 | 48:44 | 59 |
| ლიდსი | 43 | 14 | 16 | 13 | 48:49 | 58 |
| სტოკი | 42 | 16 | 10 | 16 | 34:35 | 58 |
| ქუინზ პარკი | 42 | 16 | 10 | 16 | 52:54 | 58 |
| ვულვზი | 43 | 12 | 21 | 10 | 64:56 | 57 |
| ბარნლი | 42 | 13 | 14 | 15 | 34:38 | 53 |
| პლიმუთი | 43 | 14 | 9 | 20 | 51:61 | 51 |
| ლესტერი | 41 | 10 | 19 | 12 | 44:43 | 49 |
| უოტფორდი | 43 | 11 | 15 | 17 | 50:57 | 48 |
| ქოვენთრი | 43 | 12 | 12 | 19 | 53:68 | 48 |
| ჯილინგემი | 43 | 12 | 12 | 19 | 42:61 | 48 |
| ქრიუ | 43 | 11 | 14 | 18 | 63:78 | 47 |
| კარდიფი | 42 | 11 | 13 | 18 | 43:49 | 46 |
| ბრაიტონი | 43 | 12 | 10 | 21 | 36:62 | 46 |
| ნოტინგემი | 43 | 8 | 16 | 19 | 38:62 | 40 |
| როტერჰემი | 43 | 5 | 13 | 25 | 35:66 | 28 |

## პირველი ლიგა

### XLIII ტური

ჰარტლპული — შეფილდი 3:0; ბარნლი — ოლდემი 2:2; ბრედფორდი — ბრენტფორდი 4:1; ბრისტოლი — რექსემი 1:0; ჩესტერფილდი — ბორნმუთი 2:3; ჰალი — სუინდონი 0:0; ლუთონი — მილტონი 1:0; პიტერბრო — უოლსოლი 0:2; სტოკპორტი — დონკასტერი 2:4; ტორკი — პორტ ვეილი 1:0; ტრანმერი — ბლექპული 0:0

## მეორე ლიგა

### XLIII ტური

ჩელტენენი — ნორთჰემპტონი 1:0; ჩესტერი — ბრისტოლი 2:2; კიდერმინსტერი — იეოვილი 1:1; ლინკოლნი — მაკლსფილდი 2:0; მენსფილდი — დარლინგტონი 1:1; ნოთსი — გრიმსბი 2:2; როჩდეილი — შრიუზბერი 1:1; რაშდენი — ბოსტონი 4:2; სკანთორპი — კემბრიჯი 4:0; უიკომბი — ბარი 1:2

## კონფერენსლიგა

### XLI ტური

ბარტონი — კარლაილი 0:1; ქონვი — სკარბორო 1:0; ქროული — ექსეტერი 0:1; ფარნბორო — ტემუორთი 2:2; ფორესტ გრინი — ლეი გადაიდო. ჰალიფაქსი — ჰერეფორდი 0:1; მორეკომბი — ბარნეტი 1:1; ნორთვიჩი — ალდერშოტი 1:2; სტივენეჯი — გრეივსენდი 2:0; უოკინგი — აკრინგტონი 2:1; იორკი — დაგენემი 0:0

## ასოციაციის თასი

### ნახევარფინალი

**არსენალი 3:0 ბლეკბერნი**

1:0 პირესი (42), 2:0, 3:0 ვან პერსიე (87, 90)

**ნიუკასლი 1:4 მანჩესტერი**

0:1 ვან ნისტელროი (19), 0:2 სქოულზი (45), 0:3 ვან ნისტელროი (58), 1:3 ამეობი (59), 1:4 კ. რონალდო (76)

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XXIX ტური

**დორტმუნდი 1:1 არმინია**

1:0 კრინგე (15), 1:1 ბოაკი (87)
დორტმუნდი: ვეიდენფელერი, ბრჟენსკა, მეცელდერი, ვიორნსი, დედე, კელი, კრინგე (კრუსკე 84), როსიცკი, ევერტონი (გამბინო 71), კოლერი, სმოლი არეკი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
არმინია: ჰაინი, ბორგესი, გაბრიელი, ლენსე, შულერი, დამაიერი (ბოაკი 73), დურო (პინტო 62), კაუფი, შკელა, ბაკლი, ვატა (ჯალოვიჩი 83)
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
გაფრთხილება: კოლერი, კაუფი, ბჟენსკა, დამაიერი, ბორგესი, ვატა, კელი
მსაჯი: ბრიხი
79 000 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 1:1 მაინცი**

1:0 ნოივილი (51), 1:1 ტურკი (90)
მიონხენგლადბახი: კელერი, ფუკალი, შტრასერი, ვან კერკჰოვენი, ბიომე (დაიმსი 46), ბროიხი, იანსენი, კლუგე, ნოივილი (ვან ჰუტი 84), სონკი (ულიხი 46), სვერკოში
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
მაინცი: ვეტკლო, აბელი, ნოვესკი, ვეიგელტი (იოვანოვიჩი 89), ბაბატცი (კრამნი 84), და სილვა, ფრეიდრიხი, კეისი, გერბერი (აუერი 79), ტურკი, ვეილანდი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
მსაჯი: ფლეიშერი
53 000 მაყურებელი

**ჰანოვერი 0:1 ბაიერნი**

0:1 ჰარგრივსი (90)
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ლალა, მერტესეკერი, ტკარნატი (შტაინერი 63), ვინიციუსი, ზურავი, დე გუზმანი, კრუპნიკოვიჩი, შრიოტერი, კაუფმანი (კრისტიანსინი 63)
მწვრთნელი: ევალდე ლინენი
ბაიერნი: კანი, დემიკელისი, კოვაჩი, ლუსიო, სანიოლი, ფრინგსი, სალიჰამიჯიჩი (დაისლერი 79), შვაინსატიგერი (ჰარგრივსი 87), ზე რობერტო (შოლი 68), მაკაი, პიზარო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ვინისიუსი, შვაინსტაიგერი
მსაჯი: ვაგნერი
49 854 მაყურებელი

**ჰანზა 2:1 შტუტგარტი**

1:0 ოლბაკი (39), 1:1 კაკაუ (46), 2:1 პრიჩა (74)
ჰანზა: შრიობერი, მიორლე, სებასტიანი, ჰარტმანი, ლანცი, ლიტმანენი (ჰილი 76), პერსონი, რასმუსენი, ოლბაკი (დი სალვო 69), პრიჩა, ვორბეკი (რიდლევიჩი 62)
მწვრთნელი: იორგ ბერგერი
შტუტგარტი: ჰილდერბანდი, ბაბელი, ჰინკელი, მეირა, შტრანცლი, გლები, დაილერი, მეისნერი, სოლდო, ტიფერტი (ლამი 76), კაკაუ, კურანი (შტრელერი 76)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ბაბელი, კაკაუ, ჰარტმანი, ლანტცი, რიდლევიჩი, ტიფერტი, კურანი, ლამი, და სალვო
მსაჯი: კინ ჰოფერი
20 500 მაყურებელი

**ფრაიბურგი 1:3 ლევერკუზენი**

0:1 შნაიდერი (25), 1:1 იაშვილი (37), 1:2, 1:3 ბერბატოვი (66, 81)
ფრაიბურგი: გოლცი, ბერნერი, ჰერმელი, მოჰამადი, ოლაიენგბესი, ანტარი (ციტიშვილი 60), ბაირამოვიჩი, კულიბალი (ანტარი 69), კაირო, იაშვილი, კოჯო
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
ლევერკუზენი: ბუტი, ჟუანი, პლასენტე, ჟუნიოლი, კასტრო, კრჟინოვეკი, რამელოვი, შნაიდერი, ბერბატოვი (ოზტურკი 88), ფრაიერი, ვორონინი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: რამელოვი, ბაირამოვიჩი, მოჰამადი, ჰერმელი, პლასენტე, როკე ჟუნიორი
მსაჯი: გებელმანი
22 000 მაყურებელი

**შალკე 1:2 ჰამბურგი**

1:0 ასამოა (4), 1:1 ვიკი (61), 1:2 მპენზა (87)
შალკე: როსტი, კრსტაიჩი, უდე კამპუისი, როდრიგესი, ვალდოხი, ალტინტოპი (ჰანკე 46), კობიაშვილი, პოულსენი, აილტონი, ასამოა (დელურა 85), სანდი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ჰამბურგი: ვახტერი, კლინგბეილი, რეინჰარდტი, ვან ბუიტენი, ბაინლიხი, ბენჟამინი, მორეირა, ვიკი, მაჰდავიკია, მპენჟა, ტაკაჰარა (კუსუკოვიჩი 57)
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: ალტინტოპი, პოულსენი, ვიკი, ჰანკე, რეინჰანდტი, კობიაშვილი, სანდი, კრსტაიჩი
მსაჯი: კირხერი
61 524 მაყურებელი

**ვერდერი 0:1 ჰერტა**

0:1 მარსელინიო (31)
ვერდერი: რაინკე, ფარენჰორსტი (ზიდანი 73), ისმაელი, ბოროვსკი (ლისტეში 69), ერნსტი, იენსენი, ნიკუ, შულცი (ჰანტი 55), სტალტერი, ვალდესი, კლასნიჩი
მწვრთნელი: თომას შააფი
ჰერტა: ფრიდელი, ფატი, ფრიედრიხი, ჟილბერტო, ნ. კოვაჩი, სიმუნიჩი, ვან ბურიკი, ბაშთურქი (ვიშნიარეკი 69), მარსელინიო (ნოიენდორფი 63), მარქსი, რაფაელი (დარდაი 46)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: ფრიედრიხი
მსაჯი: ვაკი
41 453 მაყურებელი

**კაიზერი 1:2 ბოხუმი**

0:1 მალტრიცი (39), 1:1 ბლანკი (61პ), 1:2 დიაბანგი (75)
კაიზერი: ერნსტი, მეტომო, ჰერჩი, ლემბი (ნურმელა 67), ბლანკი, რიდლი (ტებერი 82), ენგელჰარდტი, სფორცა (ამანატიდისი 76), კოსოვსკი, ჰალილ ალტინტოპი, იანკერი
მწვრთნელი: ჰანს ვერნერ მოსერი
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კნავსი, პრეუბი, მაიხელბეკი, პ. ბიონიგი, მალტრიცი, ეკმანი (ტაპალოვიჩი 78), ედუ, ვოში (ბემბენი 66), ლოკვენცი, მისიმოვიჩი (დიაბანგი 65)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: მაიჰელბეკი, ბლანკი, ლემბი, კნავსი, ლოკვენცი, მალტრიცი
მსაჯი: მეიერი
33 512 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 0:1 ნიურნბერგი**

0:1 კესლინგი (63)
ვოლფსბურგი: იენჩი, ფრანცი, რიტერი (მენსეგეში 75), შნორი, ფიშერი, ტაიმი, კარჰანი, მ. პეტროვი, ბრდარიჩი, ტ. მარიჩი (მაკიადი 65)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
ნიურნბერგი: შეფერი, კანტალუპი, ნიკლი, დ. რეინჰარდტი, ლ. მიულერი, ლარსენი, ლაგეფელდი, ს. მიულერი (ვიბლიშაუზერი 76), მინტალი, დაუნი (აიდოო 81), კესლინგი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: კანტალუპი, შნორი, ფრანცი, კესლინგი, აიდოო
მსაჯი: მერკი
19 276 მაყურებელი

# ბაიერნი სასალათეზე აკაკუნებს



მიუნხენელთა სიხარული დიდია, მათ „შალკეს" ექვსი ქულით გაასწრეს

**ბუნდესლიგის** დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ჩემპიონი თითქმის ცნობილია — ჰანოვერში მიუნხენის „ბაიერნის" მოგებისა და „შალკეს" „ჰამბურგთან" შინ წაგების შემდეგ ორ ლიდერს შორის სხვაობა ექვს ქულამდე გაიზარდა. „შალკესი" არ იყოს, „შტუტგარტის" ნამდვილი სახე როსტოკში, „ჰანზასთან" გამოჩნდა და „ბაიერნს" ორი მდევარი თავისი ნებით ჩამოშორდა.

ერთი კვირის წინ, ტურის მიმოხილვის შემდეგ ვწერდით, რომ „შტუტგარტმა" „შალკეს" 3:0 დამარცხებით „ხუმარებს ნიღაბი ააგლიჯა". „შტუტგარტს" იგივე დაემართა როსტოკში, თითქოს საჩემპიონოდ შემართულმა მათიას ზამერის გუნდმა მაჩანჩალა „ჰანზასთან" ვერაფერი გააწყო.

მარკუს ოლბაკმა ტაიმის მიწურულს დააწინაურა მასპინძლები, მაგრამ მეორის დასაწყისში სტუმარმა კაკაუმ გაათანაბრა. რადეკ პრიჩამ 76-ეზე რენე რიდლევიჩის ბრწყინვალე პასი შეირგო და თავური დარტყმით „ჰანზას" მოაგებინა.

მიუნხენის „ბაიერნს" ჰანოვერში ძალიან გაუჭირდა, მაგრამ შეცვლაზე შესულმა ოუენ ჰარგრივსმა პიზაროს ჩაწოდებული ბურთი იხელთა.

ნამატჩევს ფელიქს მაგათმა თქვა: „მხოლოდ შედეგს თუ შევხედავთ, შეიძლება ვთქვათ, რომ სამი ქულა ძალიან კარგია. ჩემპიონობისთვის ბრძოლაში დიდი ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ ისიც უნდა დავძინო, რომ ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ კიდევ ხუთი ტური დარჩა".

მიუხედავად იმისა, რომ გელზენკირხენის „შალკე" „ჰამბურგთან" შინ აილტონის ადრეული გოლით დაწინაურდა, უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. რაფაელ ვიკის თავდაკრული ბურთი მასპინძელთა კარში 61-ე წუთზე შეგორდა და სტუმრებმა გაათანაბრეს. ამის შემდეგ მლადენ კრსტიჩმა გაიხარა, როცა ემილ მპენზას წამოწყებული შეტევა გოლით დასრულდა.

ცხრილში მეზობლების, მიონხენგლადბახის „ბორუსიას" და „მაინცის" თამაში ფრედ დასრულდა, რაც სტუმრებს უფრო აძლევდათ ხელს. გლადბახელთა ჰოლანდიელ მწვრთნელ დიკ ადვოკაატს ნოივილის გოლის შემდეგ თავი თითქოს ქუდში ჰქონდა, მაგრამ მაინცელმა მიხაელ ტურკმა მატჩის მიწურულს გაათანაბრა.

დორტმუნდის „ბორუსიამ" ბოლო სამ ტურში ისეთი მეტოქეები დაამარცხა, რომ ბილეფილდის „არმინიაც" იოლად უნდა გაევლო, მაგრამ კრინგეს სწრაფი გოლი ვერ შეირგო და სტუმარმა ბოაკიმ შეხვედრის ბოლოს თავისიანებს ქულა გადაურჩინა.

„ფრაიბურგმა" ისევ წააგო და ეს საკვირველი აღარაა, მაგრამ „ვერდერმა" შინ ზედიზედ მესამე შეხვედრა დათმო. ბერლინის „ჰერტას" ბრემენში გამარჯვების შემდეგ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვედრის შანსი გაუჩნდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 29 | 19 | 5 | 5 | 55:26 | 29 | 62 | 15 | 12 | 2 | 1 | 35:10 | 25 | 38 | 14 | 7 | 3 | 4 | 20:16 | 4 | 24 |
| 2 შალკე | 29 | 18 | 2 | 9 | 46:35 | 11 | 56 | 15 | 11 | 1 | 3 | 29:19 | 10 | 34 | 14 | 7 | 1 | 6 | 17:16 | 1 | 22 |
| 3 შტუტგარტი | 29 | 16 | 6 | 7 | 52:33 | 19 | 54 | 14 | 11 | 1 | 2 | 32:12 | 20 | 34 | 15 | 5 | 5 | 5 | 20:21 | -1 | 20 |
| 4 ვერდერი | 29 | 15 | 5 | 9 | 58:32 | 26 | 50 | 15 | 7 | 4 | 4 | 26:14 | 12 | 25 | 14 | 8 | 1 | 5 | 32:18 | 14 | 25 |
| 5 ჰერტა | 29 | 13 | 11 | 5 | 51:27 | 24 | 50 | 14 | 6 | 7 | 1 | 27:11 | 16 | 25 | 15 | 7 | 4 | 4 | 24:16 | 8 | 25 |
| 6 ჰამბურგი | 29 | 15 | 2 | 12 | 51:46 | 5 | 47 | 14 | 8 | 0 | 6 | 24:21 | 3 | 24 | 15 | 7 | 2 | 6 | 27:25 | 2 | 23 |
| 7 ლევერკუზენი | 29 | 13 | 7 | 9 | 50:37 | 13 | 46 | 14 | 9 | 3 | 2 | 32:16 | 16 | 30 | 15 | 4 | 4 | 7 | 18:21 | -3 | 16 |
| 8 დორტმუნდი | 29 | 12 | 6 | 11 | 36:38 | -2 | 42 | 14 | 6 | 4 | 4 | 17:15 | 2 | 22 | 15 | 6 | 2 | 7 | 19:23 | -4 | 20 |
| 9 ვოლფსბურგი | 29 | 13 | 1 | 15 | 43:45 | -2 | 40 | 15 | 9 | 0 | 6 | 32:18 | 14 | 27 | 14 | 4 | 1 | 9 | 11:27 | -16 | 13 |
| 10 ლაუტერნი | 29 | 11 | 6 | 12 | 36:38 | -2 | 39 | 14 | 8 | 2 | 4 | 19:15 | 4 | 26 | 15 | 3 | 4 | 8 | 17:23 | -6 | 13 |
| 11 ჰანოვერი | 29 | 11 | 5 | 13 | 31:32 | -1 | 38 | 15 | 6 | 2 | 7 | 18:18 | 0 | 20 | 14 | 5 | 3 | 6 | 13:14 | -1 | 18 |
| 12 არმინია | 29 | 10 | 6 | 13 | 32:40 | -8 | 36 | 14 | 6 | 3 | 5 | 17:16 | 1 | 21 | 15 | 4 | 3 | 8 | 15:24 | -9 | 15 |
| 13 ნიურნბერგი | 29 | 9 | 7 | 13 | 49:53 | -4 | 34 | 14 | 3 | 5 | 6 | 22:22 | 0 | 14 | 15 | 6 | 2 | 7 | 27:31 | -4 | 20 |
| 14 მაინცი | 29 | 8 | 7 | 14 | 35:46 | -11 | 31 | 14 | 7 | 3 | 4 | 21:15 | 6 | 24 | 15 | 1 | 4 | 10 | 14:31 | -17 | 7 |
| 15 გლადბახი | 29 | 7 | 9 | 13 | 32:46 | -14 | 30 | 15 | 7 | 4 | 4 | 24:21 | 3 | 25 | 14 | 0 | 5 | 9 | 8:25 | -17 | 5 |
| 16 ბოხუმი | 29 | 7 | 8 | 14 | 40:57 | -17 | 29 | 15 | 5 | 5 | 5 | 26:23 | 3 | 20 | 14 | 2 | 3 | 9 | 14:34 | -20 | 9 |
| 17 ჰანზა | 29 | 6 | 8 | 15 | 27:55 | -28 | 26 | 15 | 3 | 4 | 8 | 14:29 | -15 | 13 | 14 | 3 | 4 | 7 | 13:26 | -13 | 13 |
| 18 ფრაიბურგი | 29 | 3 | 8 | 18 | 23:61 | -38 | 17 | 14 | 2 | 5 | 7 | 13:24 | -11 | 11 | 15 | 1 | 3 | 11 | 10:37 | -27 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მინტალი (ნიურნბერგი) | 22 |
| ბაკლი (არმინია) | 15 |
| მარსელინიო (ჰერტა) | 15 |
| ბერბატოვი (ლევერკუზენი) | 14 |
| აილტონი (შალკე) | 13 |
| კლოზე (ვერდერი) | 13 |

**XXX ტური**
23-24 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| დორტმუნდი | : | ლაუტერნი |
| არმინია | : | ფრაიბურგი |
| ბაიერნი | : | ბოხუმი |
| მაინცი | : | ჰანოვერი |
| ნიურნბერგი | : | გლადბახი |
| შტუტგარტი | : | ვოლფსბურგი |
| ჰამბურგი | : | ჰანზა |
| ჰერტა | : | შალკე |
| ლევერკუზენი | : | ვერდერი |

### II ბუნდესლიგა
### XXIX ტური

**ფიურტი 0:1 დინამო**

0:1 ბრინკმანი (37)

**ერფურტი 3:3 კოტბუსი**

0:1 გუნკელი (12), 1:1 ს. კელერი (40), 2:1 პ. დავიდი (54), 2:2 ლორდამი (54), 3:2 ონვუზურიკე (78), 3:3 ბუსკირკი (80ს.კ.)

**ესენი 2:2 ობერჰაუზენი**

1:0, 2:0 კოენი (26, 28), 2:1 კეიტა (84), 2:2 ბაკიუ (90)

**ტრირი 0:2 ბურგჰაუზენი**

0:1 რეისინგერი (22), 0:2 გეისლერი (74)

**ალენი 1:0 კიოლნი**

1:0 მიკოლაიზაკი (74)

**აუე 0:5 აინტრახტი**

0:1 კუპლერი (2), 0:2 ვან ლენტი (45), 0:3 ოისი (60), 0:4 კუპლერი (58), 0:5 ჩა (74)

**უნტერჰახინგი 2:0 კარლსრუე**

1:0 კოპადო (85პ), 2:0 ვაკარო (90)

**მიუნხენი 1:1 ზაარბრიუკენი**

1:0 აგოსტინო (4), 1:1 უირტი (90)

**ალემანია — დუისბურგი**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 29 | 16 | 7 | 6 | 53:30 | 55 |
| დუისბურგი | 28 | 17 | 4 | 7 | 44:25 | 55 |
| აინტრახტი | 29 | 15 | 4 | 10 | 54:38 | 49 |
| მიუნხენი | 29 | 13 | 10 | 6 | 43:33 | 49 |
| ფიურტი | 29 | 14 | 5 | 10 | 42:35 | 47 |
| ალემანია | 28 | 13 | 5 | 10 | 51:33 | 44 |
| აუე | 29 | 13 | 5 | 11 | 44:36 | 44 |
| ბურგჰაუზენი | 29 | 12 | 8 | 9 | 40:43 | 44 |
| დინამო | 29 | 11 | 4 | 14 | 38:48 | 37 |
| ალენი | 29 | 9 | 8 | 12 | 30:34 | 35 |
| კოტბუსი | 29 | 9 | 8 | 12 | 32:38 | 35 |
| ტრირი | 29 | 8 | 11 | 10 | 34:43 | 35 |
| ზაარბრიუკენი | 29 | 9 | 6 | 14 | 38:43 | 33 |
| უნტერჰახინგი | 29 | 10 | 3 | 16 | 35:42 | 33 |
| ესენი | 29 | 6 | 14 | 9 | 34:43 | 32 |
| კარლსრუე | 29 | 7 | 10 | 12 | 35:43 | 31 |
| ერფურტი | 29 | 7 | 9 | 13 | 33:50 | 30 |
| ობერჰაუზენი | 29 | 7 | 7 | 15 | 33:56 | 28 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
### XXX ტური

ოსნაბრიუკი — ვერდერი მ 2:1; ზტ. პაული — ლიუბეკი 1:1; უნიონი — დიუსელდორფი 1:2; ჰერტა მ — ურდინგენი 1:0; კილი — ბრაუნშვაიგი 3:0; პადერბორნი — დორტმუნდი მ 1:0; ვუპერტალი — ვოლფსბურგი მ 1:0; ჰამბურგი მ — ქემნიცი 2:0

### სამხრეთ რეგიონალლიგა
### XXVI ტური

რეგენსბურგი — ჰოფენჰაიმი 1:1; მიუნხენი მ — ფულენდორფი 1:0; ფიორტი — დარმშტადტი 0:3; ოფენბახი — შტუტგარტი მ 1:1; კობლენცი — ალენი 1:3; კაიზერი — ზიგენი 0:0; ვეჰენი — აუგსბურგი 1:1; ნოინკირხენი — ბაიერნი მ 0:4; მაინცი მ — ელვერსბერგი 1:0

# იუვეს უნდა მოეგო

## იტალია

### სერია A. XXXI ტური

**მესინა 1:0 უდინეზე**

1:0 ილიევი (60)
მესინა: სტორარი, პარისი (კპოლო 19), რეზაეი, ძანკი, კოპოლა, კრისტანტე, დონატი (დალტერიო 76), ჯამპა, ამორუზა, დაგოსტინო, ილიევი (რაფაელი 84)
მწვრთნელი: ბროტოლი მუტი
უდინეზე: დე სანქტისი, ბერტოტო, ფელიპე, კროლდრუპი, იანკულოვსკი, მუნტარი (დი ნატალე 67; პასარო 80), პინცი, პიზარო, ძენონი (მაური 76), დიმიკელე, იაკინტა
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: იაკინტა, კრისტანტე, ილიევი, კოპოლა, კპოლო
მსაჯი: მაცოლენი
30 000 მაყურებელი

**რომა 1:2 რეჯინა**

1:0 კიუ (24), 1:1 ფრანჩესკინი (72), 1:2 ბონაცოლი (82)
რომა: გურჩი, ფერარი, მანსინი, მექსეში, პანუჩი (ვირგა 81), კილუ, დაკური, დე როსი, კასანო, მონტელა, ტოტი
მწვრთნელი: ბრუნო კონტი
რეჯინა: სოვიერო, ბალესტრი, კანარსა, დე როსა, ფრანჩესკინი, ძამბონი, კოლუჩი (ესტევესი 70), მესტო (ბორიელო 59), მოცარტი, ტედესკო, ბონაცოლი (პიკოლო 90)
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: ფრანჩესკინი, კოლუჩი, ბორიელო
მსაჯი: რიცოლი
44 000 მაყურებელი

**სამპდორია 1:0 პალერმო**

1:0 ფლაკი (90პ)
სამპდორია: ანტონიოლი, კასტელინი, დიანა, პავანი, საკეტი, პალომბო, პისანო, ტონეტო (კუტუზო 54), ვოლპი, ფლაკი, როსინი (გასბარონი 62)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინი
პალერმო: გუარდალბენი, ბარზალი, ბიავა, სანტანა (ვორონე 73), ძაკალდო, ბარონე, გონსალესი (ტერლიცი 59), გროსო, მუტარელი, ტონი, ძაული
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: კასტელინი, ბარონე, პავანი, ტონეტო, გროსო, გასბარონი, დიანა
მსაჯი: როდომონტი
24 000 მაყურებელი

**სიენა 2:1 მილანი**

0:1 კრესპო (63), 1:1 კიეზა (71), 2:1 კოცა (86)
სიენა: მანინგერი, მინანი, პორტანოვა, ტუდორი, კოლონეზე, პასკუალე (არჯილი 87), ალბერტო (მაკარონე 70), დავერსა, ტადეი, ვერგასოლა, კიეზა (კოცა 79)
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 26 | 17 | 5 | 4 | 42:13 | 56 |
| აეკ | 26 | 15 | 10 | 1 | 40:19 | 55 |
| ოლიმპიაკოსი | 26 | 15 | 8 | 3 | 44:16 | 53 |
| ქსანთი | 26 | 12 | 7 | 7 | 40:27 | 43 |
| პაოკ | 26 | 12 | 5 | 9 | 35:32 | 41 |
| ეგალეო | 26 | 8 | 12 | 6 | 22:20 | 36 |
| ირაკლისი | 26 | 10 | 5 | 11 | 29:27 | 35 |
| ხალკიდონა | 26 | 9 | 8 | 9 | 25:26 | 35 |
| კალითეა | 26 | 8 | 9 | 9 | 34:36 | 33 |
| ოფი | 26 | 8 | 7 | 11 | 33:36 | 31 |
| პანიონიოსი | 26 | 7 | 9 | 10 | 21:27 | 30 |
| იონიკოსი | 26 | 7 | 9 | 10 | 19:30 | 30 |
| არისი | 26 | 4 | 12 | 10 | 22:31 | 24 |
| კალამარია | 26 | 5 | 9 | 12 | 25:43 | 24 |
| ერგოტელისი | 26 | 5 | 4 | 17 | 18:44 | 19 |
| კერკირა | 26 | 3 | 7 | 16 | 18:40 | 16 |

## ნორვეგია

### ტიპელიგა II ტური

ალესუნდი — ოდ გრენლანდი 2:1; ბოდიო გლიმტი — როზენბორგი 0:1; ლილესტრიომი — ლინი 1:0; მოლდე — სტარტი 0:1; ტრომსიო — ჰამ კამი 1:0; ვოლერენგა — ბრანი 2:1; ფრედრიკსტადი — ვიკინგი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტარტი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ალესუნდი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| როზენბორგი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ტრომსიო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბრანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ჰამ კამი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ვიკინგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ვოლერენგა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ლილესტრიომი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ფრედრიკსტადი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ოდ გრენლანდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ლინი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ბოდიო გლიმტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| მოლდე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 1 | ბოლტონი-საუთჰემპტონი | 1.6 | 3.5 | 5.5 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 22:45 | 2 | მიდლსბრო-ფულემი | 1.7 | 3.4 | 4.6 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 3 | ნორვიჩი-ნიუკასლი | 2.45 | 3.3 | 2.55 | 1.4 | 1.24 | 1.43 |
| 22:45 | 4 | პორტსმუთი-ლივერპული | 3.1 | 3.4 | 2.05 | 1.62 | 1.23 | 1.27 |
| 22:45 | 5 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 1.9 | 3.2 | 4.0 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 22:45 | 6 | ბლექბერნი-კრისტალ პალასი | 1.85 | 3.4 | 3.8 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| 22:45 | 7 | სიტი-ბირმინგემი | 1.85 | 3.3 | 4.0 | 1.18 | 1.26 | 1.8 |
| 22:45 | 8 | ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.65 | 3.4 | 5.0 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 23:00 | 9 | ჩელსი-არსენალი | 2.0 | 3.2 | 3.5 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 23:00 | 10 | ევერტონი-მანჩესტერი | 3.5 | 3.2 | 2.0 | 1.67 | 1.27 | 1.23 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 25 | სტოკი-ვესტ ჰემი | 2.75 | 3.4 | 2.25 | 1.52 | 1.23 | 1.35 |
| 22:45 | 26 | ბარნლი-ქპრ | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 22:45 | 27 | ლესტერი-კარდიფი | 1.9 | 3.2 | 3.8 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 40 | რექსემი-ბრენტფორდი | 2.85 | 3.3 | 2.25 | 1.52 | 1.25 | 1.33 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 53 | მაკლსფილდი-საუთენდი | 2.25 | 3.4 | 2.8 | 1.35 | 1.24 | 1.53 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 66 | აკრინგტონი-ალდერშოტი | 2.4 | 3.3 | 2.7 | 1.38 | 1.27 | 1.48 |
| 22:45 | 67 | ბარნეტი-კარლაილი | 2.4 | 3.3 | 2.7 | 1.38 | 1.27 | 1.48 |
| 22:45 | 68 | ბარტონი-ნორთვიჩი | 2.25 | 3.3 | 2.8 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 22:45 | 69 | კონვი-იორკი | 2.05 | 3.4 | 3.2 | 1.27 | 1.24 | 1.64 |
| 22:45 | 70 | ქროული-სტივენეიჯი | 3.1 | 3.4 | 2.1 | 1.62 | 1.25 | 1.29 |
| 22:45 | 71 | ექსეტერი-გრეივსენდი | 1.45 | 4.2 | 5.5 | 1.07 | 1.14 | 2.38 |
| 22:45 | 72 | ფარნბორო-ჰალიფაქსი | 6.0 | 3.8 | 1.5 | 2.32 | 1.2 | 1.07 |
| 22:45 | 73 | ლეი-დაგ ენდ რედი | 3.5 | 3.5 | 1.9 | 1.75 | 1.23 | 1.23 |
| 22:45 | 74 | მორიკომბი-ფორესტ გრინი | 1.3 | 4.4 | 8.5 | 1.0 | 1.12 | 2.89 |
| 22:45 | 75 | უოკინგი-ჰერეფორდი | 2.4 | 3.3 | 2.7 | 1.38 | 1.27 | 1.48 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 22:15 | 114 | ალემანია-დუისბურგი | 2.25 | 3.3 | 2.7 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 149 | ლეობენი-რიდი | 2.85 | 3.2 | 2.15 | 1.5 | 1.22 | 1.28 |
| | | **იტალია. სერია C1/B** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 585 | სპალ-სამბენედეტეზე | 2.4 | 2.3 | 3.5 | 1.17 | 1.42 | 1.38 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 292 | ლე აერი-ტრუა | 2.9 | 2.9 | 2.4 | 1.45 | 1.31 | 1.31 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 343 | მორეირენსე-სპორტინგი | 4.1 | 3.5 | 1.75 | 1.88 | 1.22 | 1.16 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 18:40 | 405 | ლიბერეცი-ბანიკი | 2.0 | 3.1 | 3.3 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 449 | ფრედრიკსტადი-ვიკინგი | 2.45 | 3.3 | 2.5 | 1.4 | 1.23 | 1.42 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 465 | ჰეკენი-სუნდსვალი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| 21:00 | 466 | ჰალმსტადი-იურგორდენი | 2.3 | 3.3 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.5 |
| 21:00 | 467 | ჰამარბი-კალმარი | 1.75 | 3.3 | 4.1 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 468 | გეფლე-ჰელსინგბორგი | 4.3 | 3.3 | 1.75 | 1.86 | 1.24 | 1.14 |
| | | **გერმანია. თასი** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 550 | შალკე-ვერდერი | 2.05 | 3.2 | 3.3 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 551 | არმინია-ბაიერნი | 4.5 | 3.6 | 1.65 | 2.0 | 1.2 | 1.13 |
| | | **ჩოგბურთი. კაცები. ბარსელონა. გრუნტი** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 13:00 | 586 | ანდრეევი-მონაკო | | | 1.5 | 2.4 | | |
| 13:00 | 587 | კოსტა ა-მირნი | | | 1.5 | 2.35 | | |
| | | **ჩოგბურთი. კაცები. წყვილები. ბარსელონა. გრუნტი** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 12:00 | 588 | არნოლდი/ჰოდი-ანდრეევი/დავიდენკო | | | 1.65 | 2.25 | | |
| | | **ჩოგბურთი. კაცები. წყვილები. ჰიუსტონი. გრუნტი** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 589 | გარსია მ/ხორნა-აგასი/კურიე | | | 1.55 | 2.3 | | |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი TELCREDITI

10

42 00 24

+%

## საქართველოს ჩემპიონატი

# ქართული კალათბურთის აპ-კარგი

## გუბე მოედანზე, დანა ტრიბუნაზე და დონიანი თამაში



სტუ-ელი ზვიად მიქაძე გიორგი გაფრინდაშვილს გაურბის

17 აპრილი. ვერის ბაღი

**სტუ 87:86 თსუ**

14:32 25:21 24:16 24:17

**სტუ:** დ. ბერიშვილი (14), გოგობერიშვილი (6), მარკოიშვილი (23), შანიძე (10), ჯაფარიძე (10); კეიდია (11), მიქაძე (9), გაგნიძე (4), კოხრეიძე, მათიაშვილი

**თსუ:** ვეფხვაძე (12), ი. მაისურაძე (14), ფანჩულიძე (8), ბაქრაძე (3), მ. ბერიშვილი (9); გაფრინდაშვილი (10), სანიკიძე (5), ხიზანიშვილი (4), ბერაია (10), კოკოლიშვილი (11)

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**დინამო 91:56 სსუ**

22:13 19:13 19:9 31:21

**დინამო:** ხეცურიანი (3), ბ. ბერიშვილი (26), ლაფანაშვილი (6), ლოსაბერიძე (16), სუხიშვილი (1); ბექაური (14), გულისაბედაშვილი, კვიმსაძე, დერიუგინი (2), კოლუაშვილი (8), ჩხატარაშვილი (10), ი. მაისურაძე (5)

**სსუ:** პატარაია (7), იმედაშვილი (6), მეტრეველი (7), ლ. ნოზაძე (10), ქვილითაია (9); ცხაკაია (9), ონიკაშვილი (3), ჭოვჟლიძე (3), გასიტაშვილი (2)

**მსაჯები:** ლიკა ქაჯაია, ხათუნა გაბედავა

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**ავიამშენი 82:70 თუჯი**

22:6 18:19 19:22 23:23

**ავიამშენი:** ნიკოლაძე (12), ხოშტარია (17), დოლიძე, ნინიაშვილი (21), შენგელია (7); ბოლქვაძე (11), თორთლაძე (8), წოწელია (3), ორმოცაძე (1), აბრამიძე (2)

**თუჯი:** არნივიძე (9), ჩაჩუა (8), ფაიქრიძე, ტყეშელაშვილი (2), დანელიანი (11); მურჯიკნელი (19), ელენტი (9), ცაცავა (6), ჭოჭუა (3), გოგსაძე (3)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** როლანდ გელოვანი

**ირაკლი პერტაია**

**გუშინ** ვერის ბაღმა მიმდინარე სეზონის საუკეთესო მატჩს უმასპინძლა. ეროვნული ჩემპიონატის გადამკიდე ნიადაგ მდარე და უხარისხო თამაშების მაცქერალი გულშემატკივრისთვის საუკეთესო მატჩი დაძაბულ დაპირისპირებასთან ასოცირდება, თუმც გუშინდელი სტუდენტური დერბი მართლაც დონიანი ჯახი გამოდგა, მისი ანალოგი ძნელად თუ მოიძებნება უნივერსიტეტთა შეჯიბრებების ისტორიაში.

თბილისის სახელმწიფო და ტექნიკური უნივერსიტეტების მატჩმა დაიტია ყველაფერი კარგი, რაც ქართულ კალათბურთშია და სამწუხაროა, რომ ასეთი ლამაზი ჯახი იმ უმსგავსოებით გაუფერულდა, რაც ტრიბუნაზე მოხდა.

თავად ის ფაქტი, რომ ამ შეხვედრამ ბლომად გულშემატკივარი მოიზიდა, ძალიან კარგია. ბოლო წლებში ასეთი მოწესრიგებული ქომაგობით გამორჩეული მატჩი არ გამართულა — ერთი ტრიბუნა მთლიანად სტუ-ს გულშემატკივრებს შეევსოთ, მისი მოპირდაპირე კი თსუ-ს მხარდამჭერებს და გუნდებს გამხნევება ერთი წუთითაც არ მოჰკლებიათ.

მაგრამ ქომაგთა მოზღვავებას მეტად უსიამოვნო, ინციდენტი მოჰყვა.

მოკლედ გეტყვით: ზოგიერთმა ჭოლეყავმა გულშემატკივრობით გული რომ ვერ იჯერა, „მტრების" ტრიბუნისკენ უცხო საგნების სროლა გადაწყვიტა. ამას ჩხუბი მოჰყვა და ერთერთ სტუ-ელ ქომაგს რომ არ ემარჯვა, ცეცხ უბედურებაც დატრიალებულიყო.

თსუ-ს ერთ-ერთმა თინეიჯერმა მხარდამჭერმა საიდანღაც დანა გამოაძრო და ამფსონებთან ერთად სტუ-ს ქომაგებში შევარდა, თავქარიანს ცივი იარაღი წაართვეს, წამრთმევს კი თითი დაუშავდა.

ამ დროს მოედანზე არანაკლები ბრძოლა ოღონდ ყველაფერი სპორტულ წესებს ემორჩილებოდა. ინციდენტი დაემთხვა მატჩის ფინალს, რომელმაც დაძაბულ და საინტერესო პიკს მიაღწია.

მისი დარი სწრაფი თამაში ეროვნულ ჩემპიონატში აქამდე არ გამართულა. წამით მოდუნებულ ერთ მოთამაშეს ვერ ნახავდით. ორივე გუნდი კონტრშეტევებზე მიდიოდა 40 წუთი იყო და უკანმოუხედავად უტევდა.

...თამაშის შემდეგ თსუ-ს მწვრთნელი გია ჯავახიშვილი მატჩის ოქმს ჩასჩერებოდა და გაოცებული ამბობდა, მეტოქეს ყველა კომპონენტში ვაჯობეთ და როგორღა წავაგეთ, ვერ გამიგიაო. თსუ-მ მართლაც ყველა სტატისტიკურ მაჩვენებელში აჯობა მეტოქეს გარდა ერთისა, სამქულიანებისა, და სწორედ ამ მიზეზით წააგო სახელმწიფო უნივერსიტეტის საკმაოდ სიმპათიურმა გუნდმა.

თსუ-ში, მოგეხსენებათ, არაერთი ახალგაზრდა თამაშობს, რომლებმაც გუშინ ტოლი არაფერში დაუდეს სტუ-ს გამოცდილ ლიდერებს და ბოლო წუთზე პატარა სასწაული რომ არ მომხდარიყო, უთუოდ გაიმარჯვებდნენ. ეს სასწაული გახლდათ ირაკლი კეიდიას ორი და დავით ბერიშვილის ჯადო სამქულიანები, რომლებმაც კინკილა ქულით, 87:86 მოაგებინეს სტუ-ს.

მთელი მატჩის განმავლობაში ტექნიკოსები მდევრის როლში იყვნენ. მათ ლიდერებს: რამაზ გოგობერიშვილს, ირაკლი ჯაფარიძეს და ლუკა შანიძეს თითქმის არაფერი გამოსდიოდათ.

საწყის მეოთხედში მამუკა ტურაშვილის შეგირდებმა მიწასთან გაასწორეს ტექნიკოსთა გუნდი. მთელი ათწუთეულის განმავლობაში თსუელებმა პრესინგის ზღვარზე ითამაშეს, ბურთიან მეტოქეს მოედნის ნებისმიერ წერტილში ავიწროებდნენ და შეტევაზეც ელვის სისწრაფით გადადიოდნენ.

გიორგი მარხვაშვილის არყოფნაში თავი ისახელა სრულიად ახალგაზრდა გიორგი გაფრინდაშვილმა, რომელიც ნიკა ვეფხვაძეს ენაცვლებოდა და ბურთს საკმაოდ საზრიანად ათამაშებდა. ამავდროულად გაფრინდაშვილი სწრაფ გარღვევებსაც ახორციელებდა და ასევე იყო თითქმის ყველა თსუ-ელი, რამაც პირველი მეოთხედის ბოლოსთვის ის შედეგი მოიტანა, რომ თსუ 20 ქულით დაწინაურდა — 30:10.

შესვენების შემდეგ მოედანზე ტექნიკოსთა სათადარიგოები გამოჩნდნენ, რაკი მათ არც ერთ ლიდერს თამაში არ მისდიოდა და ნუგზარ ჭეიშვილი იძულებული იყო, ნაკლებად გამოცდილ ხალხს დაყრდნობოდა.

მიუხედავად მოთამაშეთა ხშირი მონაცვლეობისა, ტემპი არ ნელდებოდა. მეორე მეოთხედში ბევრიც არაფერი შეცვლილა. ტექნიკოსები კვლავ სცოდავდნენ, თსუ კი ხელსაყრელ ანგარიშს ინარჩუნებდა — 53:39 პირველი ტაიმის შემდეგ.

ტექნიკოსები მიხვდნენ, რომ სწრაფ თამაშში მეტოქეს ვერ დაჯაბნიდნენ და ოდნავ მოდუნდნენ. უფრო სწორად, სტუ-მ დაცვაში მოუჭირა მარწუხებს და მეტოქეს ფეხდაფეხ კი არ დასდევდა, არამედ ზონაში ჩადგა. ამან ის შედეგი გამოიღო, რომ თსუ-ს მეტოქის საჯარიმოში შესვლა გაურთულდა და რაკი შორიდანაც ვერ ჩუბინობდა, სტუ-ელებმა კონტრშეტევებით ჩამოარჩენა 6 ქულამდე შეამცირეს — 69:63 გადამწყვეტი ათწუთეულის წინ.

სტუ კი გამოფხიზლდა, მაგრამ ეს გამარჯვების მისაღწევად საკმარისი რომ არ იყო, ამ საინტერესო ამბიდანაც ჩანს:

მესამე მეოთხედს დაემთხვა ის თქეში, გუშინ თბილისს რომ დაატყდა და წვიმამ ვერის ბაღის დარბაზშიც შემოაღწია. მოედანზე მოზრდილი გუბე დადგა და მსაჯებმა უსაფრთხოების მიზნით მას ტილო გადააფარეს. წვიმს მოედანზე, გადავდოთ თამაშიო, გაისმა უკანა რიგებიდან სტუ-ს პრეზიდენტ ვაჟა ქუთათელაძის ხმა. აბა, თსუ-სთვის გვკითხათ, სურდა თუ არა თამაშის გადადება...

თუმც მთელი ეს ნაჯაფარი თსუელებს წყალში ირაკლი კეიდიამ და დავით ბერიშვილმა ჩაუყარეს, რომლებმაც თამაშის ბოლო წუთზე სამი სამქულიანი ჩააგდეს და გამარჯვება, რომელიც ყველანაირი ლოგიკით თსუ-ს უნდა ეზეიმა, „სტუ-ჯეოსელმა" მიითვალა.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 15 აპრილი —

**დეტროიტი 99:77 მილუოკი**

**დეტროიტი:** ბილაფსი (4), ჰამილტონი (4), პრინსი (17), რ. ვოლესი (7), ბ. ვოლესი (15 ქულა, 11 მოხსნა); დიუპრე (20), მაკდაისი (13), დელფინო (7), აროიო (6), მილიჩიჩი (4), კემპბელი (2)

**მილუოკი:** უილიამსი (8), რედი (8), მეისონი (15), სმიტი (14), გადურიჩი (4); ფოზერი (8), გოლდვაირი (6), სტრიკლენდი (4), ფაჩულია (18 წუთი, 2 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), ბუთი

**გოლდენ სტ. 108:88 პორტლენდი**

**გოლდენ სტეიტი:** დანლივი (20), დეივისი (19 ქულა, 11 პასი), მერფი (18 ქულა, 12 მოხსნა)

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**პორტლენდი:** სტუდემაიერი (18 ქულა, 12 მოხსნა, 11 პასი), აბდურ-რაჰიმი (17 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), პატერსონი (17)

**ტორონტო 90:101 ნიუ ჯერსი**

**ტორონტო:** როუზი (20), ბოში (18)

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (39), სკალაბრინი (16), კიდი (15 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი)

**ბოსტონი 101:99 მაიამი**

**ბოსტონი:** პირსი (22), ჯეფერსონი (19), დეივისი (16), უოლკერი (13 ქულა, 15 მოხსნა, 8 პასი)

**მაიამი:** ონილი (34), უეიდი (17), ჰეისლიპი (13 ქულა, 15 მოხსნა)

**ინდიანა 86:90 ფილადელფია**

**ინდიანა:** ჯეკსონი (21), ჯონსონი (20), მილერი (13)

**ფილადელფია:** აივერსონი (43), ვებერი (21)

**ვაშინგტონი 119:111. კლივლენდი**

**ვაშინგტონი:** არენასი (33), ჰიუზი (31), ჯემისონი (21)

**კლივლენდი:** ჯეიმსი (38), ტრეილორი (14 ქულა, 10 მოხსნა)

**ჩიკაგო 117:77 ორლანდო**

**ჩიკაგო:** გორდონი (17), ნოჩიონი (17), დუპონი (17)

**ორლანდო:** ფრენსისი (16), ოგმონი (15)

**დენვერი 111:102 მემფისი**

**დენვერი:** ენტონი (22), მარტინი (17)

**მემფისი:** მილერი (17), რაიტი (16 ქულა, 11 მოხსნა), კარდინალი (16)

**იუტა 84:100 მინესოტა**

**იუტა:** მაკლეოდი (20)

**მინესოტა:** გარნეტი (22), ჩშერბიაკი (17)

**ფინიქსი 98:91 კლიპერსი**

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (24 ქულა, 17 მოხსნა), მარიონი (20 ქულა, 10 მოხსნა), ჯონსონი (20), ნეში (14 ქულა, 11 პასი)

**კლიპერსი:** ბრენდი (22), კამანი (21 ქულა, 7 მოხსნა, 5 დაფარება)

**ლეიკერსი 106:115 საკრამენტო**

**ლეიკერსი:** ბატლერი (34), ჯონსი (17), მიმი (15), უოლტონი (10 ქულა, 12 მოხსნა, 9 პასი)

**საკრამენტო:** ბიბი (26), მობლი (23 ქულა, 10 მოხსნა), ევანსი (16), ტომასი (15)

**სიეტლი 97:72 ნიუ ორლეანი**

**სიეტლი:** ალენი (32)

**ნიუ ორლეანი:** ნეილონი (15)

— 16 აპრილი —

**მილუოკი 113:103 ორლანდო**

**მილუოკი:** უილიამსი (13), სტრიკლენდი (15), მეისონი (22), სმიტი (15), გადურიჩი (6); ფოზერი (12), გოლდვაირი (11), ფაჩულია (19 წუთი, 9 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი), გეინისი (4), ბუთი (3), კუკოჩი (3)

**ორლანდო:** ბარეტი (12 ქულა, 12 პასი), ნელსონი (16), სტივენსონი (17), ჰოვარდი (19 ქულა, 15 მოხსნა), ბათი (4); ჰანტერი (13 ქულა, 12 მოხსნა), ოგმონი (10), კასუნი (9), ჯონსი (3), კატო

**სან ანტონიო 97:75 მემფისი**

**სან ანტონიო:** ბოუენი (15), უდრიპი (14)

**მემფისი:** გასოლი (17)

**ფინიქსი 116:98 საკრამენტო**

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (38), ჯონსონი (22), ბარბოსა (17)

**საკრამენტო:** ჰაუსი (17), ბიბი (16)

**კლიპერსი 94:89 ნიუ ორლეანი**

**კლიპერსი:** საიმონსი (21), ბრენდი (20), იარიჩი (15)

**ნიუ ორლეანი:** სმიტი (17), დიკაუ (17), ნეილონი (16)

**შარლოტი 98:100 ნიუ იორკი**

**შარლოტი:** ბოგანსი (15), ვოლესი (14 ქულა, 14 მოხსნა)

**ნიუ იორკი:** მარბერი (19), კროუფორდი (17), კ. ტომასი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**ატლანტა 105:114 ჩიკაგო**

**ატლანტა:** დელკი (18), ჩილდრესი (17 ქულა, 10 მოხსნა), ლუ (16)

**ჩიკაგო:** დუპონი (24), ნოჩიონი (19), ჰაინრიხი (17), გორდონი (16)

**ჰიუსტონი 115:87 დენვერი**

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (32), ჯეიმსი (23), მინგი (13 ქულა, 11 მოხსნა, 5 დაფარება)

**დენვერი:** მარტინი (22), ენტონი (16)



დეტროიტელმა დარკო მილიჩიჩმა ზაზა ფაჩულიას ჩაუტენა

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 56 | 23 | 70,9 |
| დეტროიტი | 52 | 27 | 65,8 |
| ბოსტონი | 44 | 35 | 55,7 |
| ჩიკაგო | 46 | 34 | 57,5 |
| ვაშინგტონი | 44 | 35 | 55,7 |
| ინდიანა | 43 | 36 | 54,4 |
| ფილადელფია | 41 | 38 | 51,9 |
| კლივლენდი | 40 | 39 | 50,6 |
| ნიუ ჯერსი | 39 | 40 | 49,4 |
| ორლანდო | 35 | 45 | 43,8 |
| ტორონტო | 32 | 47 | 40,5 |
| ნიუ იორკი | 32 | 47 | 40,5 |
| მილუოკი | 30 | 50 | 37,5 |
| შარლოტი | 17 | 62 | 21,5 |
| ატლანტა | 12 | 67 | 15,2 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| ფინიქსი | 61 | 19 | 76,3 |
| სან ანტონიო | 59 | 21 | 73,8 |
| სიეტლი | 51 | 28 | 64,6 |
| დალასი | 55 | 24 | 69,6 |
| ჰიუსტონი | 49 | 31 | 61,3 |
| საკრამენტო | 49 | 31 | 61,3 |
| დენვერი | 48 | 32 | 60,0 |
| მემფისი | 44 | 36 | 55,0 |
| მინესოტა | 42 | 37 | 53,2 |
| კლიპერსი | 36 | 43 | 45,0 |
| ლეიკერსი | 34 | 45 | 43,0 |
| გოლდენ სტეიტი | 32 | 48 | 40,0 |
| იუტა | 25 | 54 | 31,6 |
| პორტლენდი | 25 | 54 | 31,6 |
| ნიუ ორლეანი | 18 | 62 | 22,59 |

*პირველი სამი ადგილი დივიზიონის ლიდერებს უჭირავთ*



+120 კილოგრამიან მოჭიდავეთა კვარცხლბეკი


ეროვნული ბიბლიოთეკა

84-კილოგრამიან მოჭიდავეთა კვარცხლბეკი

# ბრინჯაოს შემოდგომა

## სამი მედალი კლასიკოსთათვის

**ბულგარული** შაბათ-კვირა ქართველი ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთათვის სამი მედლის მომტანი გამოდგა. ბეგი დარჩიას შვიდეულმა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შედეგი რაოდენობრივად გააუმჯობესა,, ხარისხით კი ვერა. სამივე მედალი ბრინჯაოსია. ამრიგად, 2005 წლის ევროპის 14 საუკეთესო მოჭიდავეს შორის მხოლოდ ერთი ქართველი, ელდარ კურტანიძეა.

ბერძენ-რომაელთათვის დათმობილი ორი დღის პირველ საღამოს ქართულ ყულაბაში ბადრი ხასაიასა (84კგ) და მირიან გიორგაძის (+120კგ) მედლები იყო. ევროპის სამი წლის წინანდელმა ჩემპიონმა ხასაიამ ახალ წონაში ვარნაში პირველი დიდი ტურნირი ჩაატარა და ამიტომ „ბრინჯაოს" ვერ დავუწუნებთ. ებრაელთა დროშის ქვეშ მოჭიდავე რევაზ ტურფიაშვილისა და სლოვაკი მარიან მიჰალიკის ძლევის შემდეგ ჩვენებური ნახევარფინალში რუს ალექსეი მიშინთან დამარცხდა და რეპეშაჟის ფინალში გადაერთო. იქ ხასაიას მეტოქე მიშინისგან მეოთხედფინალში ძლეული უნგრელი შანდორ ბარდოში იყო და ბრძოლაც ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდა.

ნახევარფინალამდე მისასვლელად გიორგაძესაც ორი გამარჯვება დასჭირდა. გზიდან ესტონელი ნეიკი ნაბი და ებრაელი ვოვა გურალსკი ჩამოიცილა, მერე კი ბელარუს სერგეი არტიუხინთან ვერაფერი გააწყო. მოგვიანებით არტიუხინი ჩემპიონი გახდა, ხოლო გიორგაძემ რეპეშაჟის ფინალში ბერძენ ქსენოფონ კუციუბასს აჯობა.

მომავალ ჩემპიონთან დამარცხდა მესამე ბრინჯაოს მომხვეჭი დავით ბედინაძეც (60კგ). მის წონაში უძლიერესი აზერბაიჯანელი ვიტალი რაჰიმოვი აღმოჩნდა. კავკასიური ნახევარფინალი ამ აზერბაიჯანელმა საკმაოდ იოლად მოიგო და დავითს ჯავრის საყრელად ჩეხი პეტრ სვეჰლა შეატოვა. თავიდან საქმე არცთუ კარგად მიდიოდა. ბედინაიძემ პირველი პერიოდი წააგო, მაგრამ მერე ზედიზედ ორში იმარჯვა და ტურნირის დასკვნითი დღის ერთადერთი პრიზიორი ქართველი შექნა. აქვე გეტყვით, რომ ნახევარფინალამდე მან ნორვეგიელი სტიგ ანდრე ბერგი და ფრანგი ჯამელ აინაუი ჩამოიცილა.

სამწუხაროდ, უმედლოდ დარჩენილ ოთხეულში მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია, თუმც ხასაიას მსგავსად ისიც უჩვეულო წონაში 74 კილოგრამში ჭიდაობდა. კენჭისყრამ მანუჩარს 23-ე ნომერი არგუნა, რაც ნიშნავდა, რომ ხალიჩაზე პირველსავე წრეში უნდა გასულიყო, რვა იღბლიანი კი შეჯიბრში პირდაპირ მეორე წრიდან ჩაერთო. ლატვიელი ვლადისლავ ლუკაშევიჩისა და უკრაინელი ვოლოდიმირ შაცკიხის დამარცხება ქართველმა კი შეძლო, მაგრამ პირველი პერიოდი ორივესთან წააგო. მეოთხედფინალში გერმანელ ადამ იურეცკოსთან ბრძოლაც სამრაუნდიანი გამოდგა, ოღონდ ერთი განსხვავებით. მომდევნო ეტაპზე გერმანელმა გააღწია. რახან ეს გამარჯვება იურეცკოსთვისაც ბოლო გამოდგა, კვირკველიამ რეპეშაჟის შანსი დაკარგა.

ნაკრების დებიუტანტმა მუხრან მაჭუტაძემ ოთხიდან ორი შეხვედრა მოიგო და საბოლოოდ მეშვიდე ადგილს დასჯერდა. უნგრელი ატილა დრექსლერის მოგება მეორე წრეში გერმანელ კრისტიან ფეცერთან მარცხმა გადაავიწყა, მაგრამ ამ უკანასკნელმა იმდენი ქნა, ფინალამდე მივიდა და კიდევ ერთი ბრინჯაოს შანსიც გაჩნდა. მუხრანმა სერბ დანიელ სტეფანეკს კი აჯობა, მაგრამ მოგვიანებით ბრინჯაოს მომგებ რუს სერგეი კოვალენკოსთან დაყარა ფარ-ხმალი.

მხოლოდ თითოჯერ მოუხდა ხალიჩაზე გასვლა დარჩიას გუნდის კიდევ ორ ახალწვეულს, მირიან ნიშნიანიძესა (55კგ) და გივი მორჩილაძეს (96კგ). პირველი რუმინელ ფლორიან გავრილამ იმსხვერპლა, ხოლო მეორე უკრაინელმა დიმიტრი ტიმჩენკომ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**ევროპის ჩემპიონატი**
**ვარნა, ბულგარეთი**
16-17 აპრილი

55კგ
1 ვიქტორ კარაბლიოვი (რუსეთი)
2 რომან ამოიანი (სომხეთი)
3 ბაირამ იოზდემირი (თურქეთი)
3 ივო ანგელოვი (ბულგარეთი)

60კგ
1 ვიტალი რაჰიმოვი (აზერბაიჯანი)
2 ეუსებიუ დიაკონუ (რუმინეთი)
3 დავით ბედინაძე (საქართველო)
3 ალექსეი შევცოვი (რუსეთი)

66კგ
1 ნიკოლაი გერგოვი (ბულგარეთი)
2 კრისტიან ფეცერი (გერმანია)
3 მოისეს სანჩესი (ესპანეთი)
3 სერგეი კოვალენკო (რუსეთი)

74 კგ
1 მოვსეს კარაპეტიანი (სომხეთი)
2 ველინ მარინოვი (ბულგარეთი)
3 ნენად ზუგაჯი (ხორვატია)
3 ადამ ჟურეცკო (გერმანია)

84კგ
1 ალექსეი მიშინი (რუსეთი)
2 ნიკოლაი სტოიანოვი (ბულგარეთი)
3 ბადრი ხასაია (საქართველო)
3 სერქან იოზდენი (თურქეთი)

96კგ
1 ჰამზა იერლიქაია (თურქეთი)
2 ჯიმი ლიდბერგი (შვედეთი)
3 დიმიტრი ტიმჩენკო (უკრაინა)
3 ეზერსკის მინდაუგასი (ლატვია)

120კგ
1 სერგეი არტიუხინი (ბელარუსი)
2 ილმაზ გიული (თურქეთი)
3 კრასიმირ კოჩევი (ბულგარეთი)
3 მირიან გიორგაძე (საქართველო)

კინოლოგია

# შეურყეველი როკი ჟემონ დიკი და მისი შთამომავლობა

**შაბათ-კვირას** ვაკის პარკის საჩოგბურთო კორტებზე უკვე ლამაზ ტრადიციად ქცეული ტურნირი გაიმართა საქართველოს სამოსამსახურებო-სპორტულ ძაღლებს შორის. საქართველოს ღია ჩემპიონატი რიგით მე-11 გახლდათ და, რაც ერთი თვალის შევლებითაც ჩანდა, მაყურებელთა რაოდენობამაც იმატა და ორგანიზების დონემაც. ორგანიზატორებმა მშვენიერი ხარისხის ფერადი პროგრამებიც კი დაურიგეს გულშემატკივრებს.



გოგი გახოკიძე



ტურნირი სამ სახეობაში გაიმართა. წვრთნის ზოგადი კურსი, დაცვით-სადარაჯო სამსახური და დაბრკოლებების ზოლის გადალახვა. პრიზიორები სამივე სახეობაში ცალ-ცალკე გამოვლინდა, თუმცა აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული იმ ძაღლს უნდა რგებოდა, რომელიც ყველა სახეობაში მიღებული ქულების დაჯამების შემდეგ აჯობებდა დანარჩენებს.

მონაწილეთა შორის მრავლად იყვნენ დებიუტანტებიც და გამოცდილი ძაღლებიც, რომელთა შორისაც თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა გერმანული ნაგაზები სჭარბობდნენ. საბოლოოდ სამახსოვრო პრიზები, მედლები თუ დიპლომები ყველა მათგანს ერგო, თუმც აბსოლუტური ჩემპიონი ისევ უბერებელი გერმანული ნაგაზი, არჩილ გოგელიას როკი ჟემონ დიკი გახდა. მისი ტიტულების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, კისერზე ჩამოკიდებული მედლების საერთო წონაც საკმაოდ შთამბეჭდავია.

როკი საქართველოს ჩემპიონი მერვედ გახდა. სიმბოლურიცაა, რადგანაც თვითონაც 8 წლის მოყრილა და ბეწვშიც „ჭაღარა" შერევია.

სხვათა შორის, ტურნირში ჟემონ დიკის შთამომავლებიც ასპარეზობდნენ. ერთ-ერთის მფლობელი საქართველოს კინოლოგთა ფედერაციის პრეზიდენტი გოგი გახოკიძე გახლავთ. როი ჟემონ ესტამ საპრიზო ადგილი კი დაიკავა, მაგრამ მამის დიდებამდე ჯერ ბევრი აკლია და მწვრთნელებიც ალბათ ძალ-ღონეს არ დაიშურებენ.

როგორც ბატონმა გოგიმ განაცხადა, საჩოგბურთო კლუბი „მუხის ფოთოლი" კიდევ მრავალ საინტერესო ღონისძიებას გეგმავს. 14-15 მაისს ვაკის პარკის კორტებზე ჩატარდება ტურნირი ვეტერან ჩოგბურთელთა შორის. დაგეგმილია საპრესკონფერენციო დარბაზის მოწყობაც, სადაც გაიმართება გამოფენები, პრესკონფერენციები, ლექციები ახალი თაობისთვის.

ტურნირის დასასრულს ბატონმა გოგიმ განსაკუთრებული მადლობა მოუხადა ყველას, ვისაც ჩემპიონატის ორგანიზებაში მიუძღვის წვლილი. ჩემპიონატის გაშუქებისათვის კი ჩვენი წილი მადლობა მედიის წარმომადგენლებსაც ერგო. განსაკუთრებით კი ტელეკომპანია აიეტს და გაზეთ „სარბიელის" რედაქციას.

**ლადო ფულუკიძე**

# თურქეთში ულიდერებოდ

## ვის მოუხვდება ქართველი ქალის მუშტი



თენგიზ მესხაძე

**დღეს** ქართველი მოკრივეები თურქეთში გაემგზავრნენ, სადაც ზვავიდან სტამბოლის საერთაშორისო ტურნირში ჩაერთვებიან. ნაკრების თავკაცმა თენგიზ მესხაძემ საუკეთესო შემადგენლობის შეკრება ვერ მოახერხა, თუმც ნიკოლოზ იზორიას, კონსტანტინე კუპატაძისა და სხვათა ტრავმებს აღრიცხვ რომ შეგულებული აქვს [illegible] დღის წინ მოცემულ ინტერვიუშიც გვითხრა.

თურქეთში ცხრა ქართველი ვაჟის მხარდამხარ ხამი ქალიც გაემგზავრა [illegible] საერთაშორისო ტურნირზე ქალთა გუნდის ჩაყვანა ქართველებისთვის კატეგორიულად მოულოდნელი იყო და აგერ შემდეგ ქალები რომ მეტყევეს ვერ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] საერთაშორისო [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] მესხაძე საერ[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] თუმცა ისეც ნუ გაიგებთ, თითქოს ვინმემ შედეგისთვის ბრძოლას თავი აარიდოსო, გვითხრა სტამბოლში წასვლის წინ.

თურქეთისთვის მოსამზადებელი ბოლო შეკრება საქართველოს ნაკრებებმა ქუთაისში გაიარეს, მანამდე კი გაფართოებული შემადგენლობების ფოთსა და ვარიანში შეკრებებიც მოესწრო. მწვრთნელიც კმაყოფილია, ჯერჯერობით ყველაფერი გეგმაზომიერად მიდისო, წლის მთავარი მოვლენა კი ნოემბერში, პეკინში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატია, რომელზე წამსვლელი შემადგენლობაც სტამბოლისა და კიდევ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირების შედეგებით უნდა გამოიკვეთოს. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა საქართველოს პირველობასაც. იგი თბილისში 7-11 მაისს ჩატარდება და მონაწილეობას ყველა უძლიერესი ქართველი მოკრივე მიიღებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**საქართველოს ნაკრები**

| | |
|---|---|
| **კაცები** | |
| 51 კგ | ნიკოლოზ ბერკაცაშვილი (ვარიანი) |
| 54 კგ | გიორგი კილანავა (ფოთი) |
| 57 კგ | კობა ფხაკაძე (ქუთაისი) |
| 64 კგ | ლევან ლვამიჩავა (ფოთი) |
| 69 კგ | კახაბერ ჟვანია (ფოთი) |
| 75 კგ | [illegible] (ჭიათურა)<br>[illegible] (ვარიანი) |
| 81 კგ | [illegible] ნიკლაური (თბილისი) |
| 91 კგ | ბექა ლობჟანიძე (გორი) |
| **ქალები** | |
| 52 კგ | [illegible] (წყალტუბო) |
| 60 კგ | [illegible] (დედოფლისწყარო) |
| 66 კგ | ლიანა მედოევა (თბილისი) |







ტატიანა გოლოვინი

# მძლეთა მძლეობის ამბავი

**მასტერსის სერია**
**მონტე-კარლო. თიხნარი**
**საპრიზო 1,87 მლნ. ევრო**

**მეოთხედფინალები**

**რიჩარდ გასკე** (საფრანგეთი) — **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია) 6:7, 6:2, 7:6
**რაფაელ ნადალი** (ესპანეთი) — **გასტონ გაუდიო** (არგენტინა) 6:3, 6:0

**ნახევარფინალები**

**გილერმო კორია** (არგენტინა) — **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) 6:2, 7:5
**რაფაელ ნადალი** — **რიჩარდ გასკე** 6:7, 6:4, 6:3

**მონტე-კარლოსა** და ჩარლსტონში რომ ფრიადი ჩოგნაობა გახურებულა, მოგეხსენებათ და ქვემორე სტატიაშიც ამ ტურნირთა მეოთხედფინალებსა თუ ნახევარფინალებზე მოგითხრობთ.

მონტე-კარლოს თიხნარზე სამასტერსსერიოდ ჩოგნაობა კაცთა ხვედრია და მათაც გასულ პარასკევ-შაბათს გვარიანი ამბების დატრიალება მოახერხეს. ამქრის ზეგარდმო პირველოსანმა, უფასკუნჯესმა შვეიცარიელმა, როჯერ ფედერერმა, ვინაც მოპოვებულ ტიტულთა თუ ნაჩუქარ ძროხათა ოდენობას ველარ ითვლის, ჩოგნაობა მეოთხედფინალშივე დაამთავრა. მისი მძლეველი ჯერთ უწვერული ფრანგი, რიჩარდ გასკე აღმოჩნდა, რომელმაც იმდენი მოახერხა, რომ ნაომარი, მაგრამ მაინც წაგებული პირველი სეტის შემდეგ არ გატყდა და დანარჩენ ორში მარჯვე როჯერზე მეტი იძალა. აფერუმ მის ვაჟკაცობას, რამეთუ შვეიცარიელს აქამდე 25 მატჩი ზედიზედ მოუგია, ბოლო 37 შეხლაში კი ოდენ მეორედ მოეცარა ხელი. გასკესთვის ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ამქრის ზეათეულელის ძლევა შეიძლო. აქვე ერთსაც გეტყვით — ჯერთ უწვერული ფრანგი ყველაზე უმცროსია იმ თვისტომთ შორის, რომელთაც ამქრის პირველოსნის დამარცხება მოუგვარებიათ.

კიდევ ერთი მეოთხედფინალი ესპანელ რაფაელ ნადალსა და არგენტინელ გასტონ გაუდიოს შორის ჩათამაშდა. ნადალმა სამ სეტში იმარჯვა და საშაბათო ნახევარფინალისთვის მოემზადა.

ნახევარფინალებიც დიდებული გამოდგა და ისე არ გამოვა არ მოგითხროთ. არგენტინელი გილერმო კორია, რომელსაც ესპანელმა ნადალმა მეოთხედფინალში თვისტომი დაუჩაგრა, ადგა და სხვა ესპანელზე, ხუან კარლოს ფერეროზე იყარა ჯავრი. 2 სეტში 6:2, 7:5 მოიგო და ფინალისკენ გაიკვალა თიხნარი გზა.

ცნობისთვის: ფერეროს ამ ტურნირზე უკვე ორგზის უჩემპიონია, კორიას კი შარშან მოუხერხდა ტიტულის მოხვეჭა.

მეორე წყვილში თინეიჯერებმა იქნიეს ჩოგანი. ფედერერის დამმარცხებელი გასკეს თუ მძლეველი ვუწოდეთ, მაშინ 18 წლის მისი თანატოლი ნადალი მძლეთამძლე გამოდის, რადგანაც ფრანგს 2 სეტში მოუმთავრა საქმე. პირველში 6:3 მოუგო, მეორეში კი ჩოგანი არ გაანძრევინა და 6:0 გააბითურა. ამ გამარჯვებამ ნადალის ქულათა ოდენობა 258 გახადა და ამქარშიც მეორე პოზიციაზე აასკუპა.

**FAMILY CIRCLE CUP**
**ჩარლსტონი. თიხნარი**
**საპრიზო 1,3 მლნ. $**

**მეოთხედფინალები**

**ჟუსტინ ენენ-არდენი** (ბელგია) — **ლინდსი დევენპორტი** (აშშ) 3:6, 6:3, 1:0 (შეწყდა)
**ელენა დემენტიევა** (რუსეთი) — **კატარინა სრებოტნიკი** (სლოვენია) 6:3, 5:7, 6:4
**ტატიანა გოლოვინი** (საფრანგეთი) — **ნადია პეტროვა** (რუს) 7:5, 6:3
**პატი შნაიდერი** (შვეიცარია) — **ნიკოლ ვაიდისოვა** (ჩეხეთი) 6:3, 6:2

**ახლა** დიაცთა ჩოგნაობაზეც წავიორსიტყვოთ. გასკე-ფედერერისა არ იყოს, ერთი მოულოდნელობა აქაც მოხდა, თუმცა ზორბა სენსაციაო მაინც ვერ ვიტყვით. ბელგიელმა ჟუსტინ ენენ-არდენმა ამერიკელი ლინდსი დევენპორტის გადაგორება შეიძლო ჩარლსტონურ მეოთხედფინალში. თავიდანვე თითო მოგებული სეტი გაცვალეს მეტოქეებმა, შემდეგ კი ფერხორციან ამერიკელს ტრავმამ თავი კი არა და, ფეხი შეახსენა და ჩოგნაობის შეწყვეტისკენ მოუწოდა. ასე გამოეთიშნენ ასპარეზობას ორივე სქესის ამქრის პირველოსნები. წლეულს გვარიანად ნავრიაპალმა ენენ-არდენმა კი ნახევარფინალს უწია.

დანარჩენ წყვილებზეც მოგახსენებთ. რუსთა მთავარმა იმედმა, ელენა დემენტიევამ სამ სეტში სლოვენიელ კატარინა სრებოტნიკს მოუმთავრა ჩოგნაობა. ფრანგმა ტატიანა გოლოვინმა რუს ნადია პეტროვას გაუჩაღა დაძაბული ჩოგნაობა, მაგრამ მოგებისთვის მაინც 2 სეტი ეყოფოდა. შვეიცარიელმა პატი შნაიდერმა კი არცთუ ძნელად გაიმარჯვა ჩეხ ნიკოლ ვაიდისოვასთან ჯახში.

მეოთხედფინალებს რომ ნახევარფინალები მოჰყვებოდა, ამის ეჭვი თავიდანვე გვქონდა და ასეც მოხდა. დემენტიევამ შნაიდერთან კინკილა სეტი კი დათმო, თუმცა დანარჩენ ორში გამოუყვანა წირვა შვეიცარიელს და ფინალს უწია. ჟუსტინ ენენ-არდენს კი ფრიად ბრძოლის გადახდა მოუხდა გოლოვინთან, თუმცა საბოლოოდ მაინც იმარჯვა — 7:6, 7:4.

**არტემ ჩაჩანიძე**



რაფაელ ნადალი

# დაკარგული პრესტიჟი და ადგილი

**სამხრეთ აფრიკაში** 19-წლამდელ მორაგბეთა მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. პრიზიორებიც გამოვლინდნენ და ის გუნდებიც, რომლებსაც ახალი სეზონიდან B დივიზიონში დაქვეითებულებს მოუწევთ ასპარეზობა. სამწუხაროდ, იაპონელებთან ერთად ასეთი საქართველოს ნაკრები გახლავთ.

ჩვენებურებმა ჯერ ჯგუფში დათმეს სამივე თამაში, შემდეგ კი ორრაუნდიან პლეი ოფშიც ერ გაიმარჯვეს და ჯერ შოტლანდიამ გვძლია ანგარიშით 32:10, რითაც A დივიზიონში ადგილის შენარჩუნების შესაძლებლობა დავკარგეთ, გუშინ კი პრესტიჟის მატჩში იაპონიასთან დავმარცხდით 24:0 და საბოლოო ცხრილშიც უკანასკნელ, მეთორმეტე ადგილზე აღმოვჩნდით.

პირველი ადგილი მასპინძლებმა, სამხრეთაფრიკელმა მორაგბეებმა იგუნეს, რომლებმაც გადამწყვეტ შეხვედრაში ახალზელანდიელები დაამარცხეს ანგარიშით 20:15. მესამე ადგილისთვის მატჩში ერთმანეთს ავსტრალია — ინგლისი გადაეყარა. თამაში ავსტრალიელთა გამარჯვებით დასრულდა — 29:21.

ზე-თორმეტი

# ბრამბისი ტიტულს ვეღარ ერევა

**ზე-თორმეტის** გათამაშებამ მერვე ტური მიითვალა, თუმცა კალენდარი ისეა შედგენილი, რომ ზოგიერთ ტურში რამდენიმე კლუბი ისვენებს. ამიტომაც ამ ტურის შემდეგ 8 თამაში მხოლოდ ორ გუნდს მოუგროვდა. ერთ-ერთი მათგანი შარშანდელი ჩემპიონი „ბრამბისია", მეორე კი წლევანდელი ფავორიტი „ვარატასი". სწორედ ამათი დაპირისპირება გახლდათ ტურის ცენტრალური მატჩი, თუმცა ამაზე მოგვიანებით, ახლა კი ყველა შედეგს თანმიმდევრულად გამცნობთ.

პარასკევს ახალზელანდიურმა „ჩიფსმა" ჰამილტონში სამხრეთაფრიკული „ქეთსი" მიიღო და 45:14 გაასამტვერა. იმავე დღეს პრეტორიის „ბულზი" ავსტრალიურ „რედსს" მასპინძლობდა და აქაც სტუმრებმა აჯარეს შავი დღე — 32:7.

დანარჩენი 3 შეხვედრა შაბათს გაიმართა. ოკლენდში ზელანდიურმა „ბლუზმა" სამხრეთაფრიკულ „შარქსს" 36:13 მოუგო. „სტორმერსმა" კი „ქრუზეიდერსი" მიიღო კეიპთაუნში და ანგარიშით 23:51 განადგურდა. ცენტრალურიო „ბრამბისისა" და „ვარატასის" დაპირისპირებაზე ვთქვით, თუმცა მატჩი იმდენად მოსაწყენი გამოდგა, აღწერას აღარ შევუდგებით, მხოლოდ ანგარიშს გეტყვით — 6:10 სტუმართა სასარგებლოდ. ერთს დავძენთ მხოლოდ, რომ „ბრამბისმა" ნახევარფინალში მოხვედრის ძალიან მცირე შანსი დაიტოვა და ტიტულის შენარჩუნება წლეულს გაუჭირდება.

**ლადო ფულუკიძე**

| | თ | მ | ფ | წ | ს | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვარატასი | 8 | 6 | 0 | 2 | 103 | 7 | 31 |
| ქრუზეიდერსი | 7 | 5 | 0 | 2 | 87 | 5 | 25 |
| ჰარიკეინსი | 7 | 6 | 0 | 1 | 37 | 1 | 25 |
| ჰაილენდერსი | 7 | 5 | 1 | 1 | 55 | 1 | 23 |
| ბლუზი | 7 | 5 | 0 | 2 | 45 | 1 | 21 |
| ბრამბისი | 8 | 4 | 0 | 4 | -13 | 4 | 20 |
| ბულზი | 7 | 3 | 0 | 4 | -12 | 3 | 16 |
| ჩიფსი | 7 | 3 | 0 | 4 | -1 | 2 | 14 |
| სტორმერსი | 7 | 2 | 1 | 4 | -23 | 2 | 12 |
| რედსი | 7 | 1 | 0 | 6 | -72 | 4 | 8 |
| ქეთსი | 7 | 1 | 0 | 6 | -85 | 3 | 7 |
| შარქსი | 7 | 1 | 0 | 6 | -125 | 2 | 6 |

ჰოკეი

# იმედის კვირა

## ლორდ სტენლის მთავარი ზრახვა

**დადგა** იმედის კვირა. ლიგა და მოთამაშეთა ასოციაცია გვარწმუნებს, რომ გაჭიანურებულ კონფლიქტს ბოლო მოეღება. არაერთი ასეთი დაპირება მიგვიღია და დაჯერება ძნელია, მაგრამ როგორც ჩანს, ამჯერად მართლაც რაღაც უნდა მოხდეს, თორემ პრობლემის კიდევ გაღრმავება საბედისწერო გახდება.

საქმე ისაა, რომ 20 აპრილისთვის დაგეგმილია ლიგის ყველა კლუბის ბოსების შეხვედრა, სადაც ნჰლ აპირებს შემცვლელი ჰოკეისტების საკითხის განხილვას. ცხადია, ყოველივე ეს ხელს არ აძლევს პროფკავშირის მოხელეებს და ამიტომაც გააქტიურდნენ. ზუსტად 19 აპრილს, ზემოთ ხსენებული კრების წინა დღეს, გაიმართება მოლაპარაკების მორიგი რაუნდი. უკვე ცნობილია, რომ მხარეები ნიუიორკში შეხვდებიან და, როგორც ანონიმური წყარო იუწყება, ახალ პროექტებს განიხილავენ. საინტერესოა ალბათ ისიც, რომ ბოლო დღეებში ლიგისა და პროფკავშირის პირველ პირებს, გერი ბეტმენსა და ბობ გუდენაუს, რამდენიმე არაოფიციალური შეხვედრა ჰქონდათ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთხელ დაულევიათ კიდეც მიმინოს ერთ-ერთი ოტელის ბარში. ზუსტად ამ დროს განაწყდა მომდევნო ოფიციალური შეხვედრის საკითხი.

მაშ ასე, ეს დღეები საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება. თუმცა უნდა ითქვას, რომ ასოციაციას პრაქტიკულად არ დარჩა მანევრის საშუალება. შეგახსენებთ, რომ 17 მარტს ლიგამ ახალი ხელშეკრულების ორი ვარიანტი წარადგინა. აქედან პირველი ხელფასების მყარ ზღვარს, 37,5 მილიონ დოლარს გულისხმობდა, ხოლო მეორე კლუბების შემოსავლებისა და მოთამაშეთა ხელფასების გადაბმას, ეგრეთ წოდებულ LINKAGE-ს (ხელფასები შემოსავლის 54 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს). მაგრამ პირველი წინადადება ნჰლ-მა უკვე გააუქმა. ასე რომ, კალაში მხოლოდ მეორე პროექტი დარჩა. ამას კიდევ პროფკავშირის გაფრთხილებების, ან თუ გნებავთ შეშინების მკაცრი სარეკლამო კამპანია ემატება. მას დიადი უეინ გრეცკიც კი შეუერთდა.

„დიდმა ვინმემ", რომელიც „ფინიქსის" ერთ-ერთი მფლობელია, პირნათლად განაცხადა, რომ მზადაა, გუნდში შემცვლელი ჰოკეისტები გამოიყენოს. როგორც ხედავთ, პროფკავშირი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და ძნელი დასაჯერებელია, რომ ნჰლპა-მ შეძლოს მისთვის შეღავათიანი ხელშეკრულების გაფორმება. ენახოთ, რას მოგვიტანს უახლოესი დღეები.

ამასობაში კანადის ერთ-ერთმა სამოყვარულო გუნდმა მეტად ორიგინალური და მოულოდნელი სარჩელი შეიტანა სასამართლოში. „უენსდი ნაითერსის" წარმომადგენლებს, არც მეტი, არც ნაკლები, აინტერესებთ, თუ რა პრინციპებზე დააარსა 1892 წელს კანადის გუბერნატორმა ლორდ სტენლიმ თავისი სახელობის თასი და შესაბამისად, რატომ მაინცდამაინც მხოლოდ ნჰლ-ის კლუბებს აქვთ მისი მოგების უფლება.

„ის ფაქტი, რომ ლიგამ სეზონი გააუქმა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კანადურ და სხვა ქვეყნის გუნდებს არა აქვთ უფლება, იბრძოლონ თასისთვის. ლორდ სტენლის მთავარი ზრახვა იყო, რომ თასი ყოველწლიურად გათამაშდეს და ნჰლ-ის კონფლიქტმა ამას ხელი ვერ უნდა შეუშალოს" — ამბობს გუნდის წარმომადგენელი, ვინმე ტიმ ჯილბერტი.

ძნელი წარმოსადგენია, რომ „ნაითერსმა" თავისი ორიგინალური სარჩელით რამეს მიაღწიოს. მართალია, მანამდე კანადის ამჟამინდელმა გენერალ-გუბერნატორმა ადრიენ კლარკსონმაც გამოთქვა აზრი, რომ ქალთა პროფესიული ლიგის გამარჯვებულის დაჯილდოება შეიძლებოდა სტენლის თასით, მაგრამ მისმა მეურვე ბრაიან ონილმა მაშინვე განმარტა, რომ ნჰლ-ს თანხმობის ლიგის დაშლის გარეშე ეს შეუძლებელია. მით უმეტეს, რომ კლუბის სარჩელის განხილვა ივლისისთვისაა დაგეგმილი (გუნდი კი დაყენებით მოითხოვს, რომ ეს მაისში მოხდეს). ისე, ვთქვათ, „ნაითერსმა" რომც მოიგოს, მაგ დროს თასის გათამაშება უკვე შეუძლებელი იქნება. თუმცა ასეთი საკითხის ამოტივტივების პრეცედენტი თავისთავად დამაფიქრებელია.

**სამუელ ღარიბიანი**





ალექს ბარუში

# მსოფლიოს ჩემპიონატი. მეორე ეტაპი

## პორტუგალიის დიდი პრიზი. ესტორილი — 4182 მ

### მოტო გრან პრი — 117,1 კმ

1 ალექს ბარუში (ბრაზილია, ქემელ ჰონდა) — 47 წთ; 14,1
2 ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაჰა) — ჩამორჩა 02,7
3 მაქს ბიაჯი (იტალია, რეპსოლ ჰონდა) — 06,0

**საერთო ჩათვლა**

1 როსი 45 ქულა; 2 ბარუში 38; 3 მელანდრი 29; 4 ბიაჯი 25; 5 სეტე გიბერნო (ესპანეთი, მოვისტარ ჰონდა) 20

### 250 სმ³ — 108,7 კმ

1 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, კარერა აპრილია) — 45 წთ; 36,1
2 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, სკოტ ჰონდა) — ჩამორჩა 0,41
3 რენდი დე პიუნე (საფრანგეთი, აპრილია) — 0,43

**საერთო ჩათვლა**

1 დანიელ პედროსა (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) 38 ქულა; 2 დოვიზიოსო 33; 3 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, აპრილია იტალია) 27; 4 სებასტიან პორტო (არგენტინა, აპრილია ასპარი) 27; 5 სტოუნერი 25

### 125 სმ³ — 101,7 კმ

1 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) — 41 წთ; 19,[illegible]
2 ექტორ ფაუბელი (ესპანეთი, აპრილია) — ჩამორჩა 0,01
3 ტომას ლუტი (შვეიცარია, ელიტ ჰონდა) — 2,90

**საერთო ჩათვლა**

1 კალიო 45 ქულა; 2 სიმონჩელი (იტალია, ნოსაბლე აპრილია) 31; 3 ფაუბელი 31; 4 ფაბრიციო ლაი (იტალია, კოპრონ ჰონდა) 29; 5 მატია პასინი (იტალია, ტოტი აპრილია) 21

ჭადრაკი

# კასპაროვმა ბეისბოლს ჭადრაკი არჩია

**დიდი** ჭადრაკიდან დიდ პოლიტიკაში გადასულ გარი კასპაროვს ჭადრაკის დაფა სდრუზეს თავში და ეს ინციდენტი უფრო მის ახალ საქმიანობას უკავშირდება.

მოგეხსენებათ, კასპაროვი აქტიურად არის ჩაბმული პოლიტიკაში, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ოპოზიციაში უდგას და ორგანიზაცია „კომიტეტ 2008: თავისუფალ არჩევნებს" ხელმძღვანელობს.

პარასკევს საღამოს კასპაროვი მოსკოვში ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებს ხვდებოდა. დასასრულს მას ერთი ახალგაზრდა მიუახლოვდა, რომელსაც ჭადრაკის დაფა ეჭირა ხელში და ავტოგრაფი სთხოვა, შემდეგ კი უეცრად ზურგიდან მოუარა და თავში დაფა ჩასცხო, თან უშვერი სიტყვებით მიმართა. დამნაშავე დარბაზიდან გაიყვანეს, კასპაროვმა კი გემატომა მიიღო.

„ჩვენ ამ თავდასხმას ახლახან მოსკოვში ახალგაზრდული ორგანიზაცია „ჩვენის" ლიდერ ვასილ იაკიმენკოს განცხადებას ვუკავშირებთ. მან საკმაოდ შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენია კასპაროვი, რიჟკოვი,ხაკამადა და მათ ფაშისტები უწოდა" — განაცხადა კასპაროვის მრჩეველმა მარინა ლიტვინოვიჩმა.

დაშავებული კასპაროვი ექიმთან არ წასულა და ინციდენტის შემდეგ იხუმრა კიდეც, კიდევ კარგი, საბჭოთა კავშირში ჭადრაკი იყო პოპულარული სპორტი და არა ბეისბოლიო.

„ეს შემთხვევა მე ვერ შემაჩერებს, შეხვედრებს კვლავაც გავაგრძელებ და ცოტა ფრთხილად ვიქნები" — თქვა დიდოსტატმა.

**ლაშა გეგეჭკორი**




# გოჭების ოლიმპიადა

აჰა, ძმობილო, ღორ-გოჭუნათა ოლიმპიადად წოდებული სპორტული ღონისძიება, რომელიც შანხაიში გაიმართა. საგანგებო ჯიშის, პატარა ტაილანდური ღორები, რომლებიც ჩვენებური გოჭების მოცულობისა გახლავან, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხტომაში, ცურვაში, ყვინთვასა და რბენაში. ასეთი გოჭების წვრთნას საგანგებოდ იწყებენ, როცა ისინი ერთი თვისანი შეიქნებიან, ხოლო ერთი წლისანი უკვე ჩამოყალიბებული სპორტსმენები არიან.







სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი,
გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი,
ლადო ხიძერიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კლაურაძე
ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი,
ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი,
მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე
თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge